სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 ივლისი 2003 №132 (1903) | ფასი 50 თეთრი

პირველად! მე-15 ტკბილი სპონსორები

რვა დღეც და ქართული ფეხბურთი მე-15 ეროვნულ ჩემპიონატს შეადგება, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ლიგა პრიტეტულად წარმართავენ. თუმც სიახლე სხვაცაა — თუ ჩვენს ეროვნულს კბილები არ უვარგოდა, „სტიმოროლი“ შეეშველება, თუ მხნეობა აკლდა, გლუკოზიანი შოკოლადით დანაყრდება, ხოლო თუ გაგრილება და ტონუსი მოუნდება, აგერ, „კოკა-კოლაც“ — საქართველოს ჩემპიონატს, როგორც იქნა, გენერალური სპონსორი და პარტნიორები გამოუჩნდნენ.

ფიასკო

ფორტუზის ექიმები დასჭირდა

მიქელე იანძუ
ტირანიდან
სპეციალურად „სარბიელისთვის“

თბილისური შეხვედრის შემდეგ მოსალოდნელია, რომ ტირანაშიც მატჩი უმაყურებლოდ ჩატარდეს... ფორტუზი, ექიმების დიაგნოზით, დეპრესირებულია და საეჭვოა, საპასუხო მატჩში ითამაშოს...

რონალდინიო: მანჩესტერმა ბარსელონას შანსი მისცა

სამიოდ დღის წინ ისე დარწმუნებით ვამბობდით, რონალდინიო „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადისო, მგონი, გავთვალეთ. ახლა ისეთივე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრაზილიელი „ბარსელონაში“ გადავა.

მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი რა ბრალია, „მანჩესტერის“ თავმჯდომარეს თავად თუ ვერ გაუგია, რა უნდა? რამდენიმე დღის წინ თქვა, ყველაფერი გადაწყვეტილია და კვირის ბოლოს ამერიკულ ტურნეში რომ წავალთ, რონალდინიოსაც ვიახლებთო.

ახლა კი იმავ პიტერ ვინიონს აღმოუჩენია, რომ „პარი სენ ჟერმენს“ თურმე ძალიან ძვირს უხდის და ადრე დათქმულ ფულს მთელი 8 მილიონი ჩამოაკლო.

აბა, ფრანგები 8 მილიონის დაკავებას იოლად შეეგუებოდნენ?! ისე გაბრაზდნენ, „მანჩესტერთან“ საუბარიც აღარ ისურვეს.

ჰოდა, რა გასაკვირია, „ბარსელონამ“ ისევ რომ წამოყო თავი და, ეგ კი არა, ხუან ლაპორტა თავად ჩაბრძანდა პარიზში საქმის გასაჩარხად.

მოკლედ, დღეს ასეა და კიდევ თუ თავდაყირა დადგა ყველაფერი, პასუხი თავად კლუბების ბოსებს მოსთხოვეთ.

თურქები ფაჩულიაზე ბაზრობენ

საქმე გაკეთებულია, ზაზა ფაჩულიამ მშვენივრად ითამაშა ორლანდოს საზაფხულო ლიგაში, თავის გუნდ „მეჯიქს“ თავიც მოაწონა და ყველაფრის მოსამთავრებლად თითქოს კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა, მაგრამ ზაზასთვის, რომელმაც, როგორც კალათბურთელმა, ყველა დავალება ფრიადზე შეასრულა, ყველაზე დიდი ბარიკადა სწორედ ქაღალდის რამდენიმეგვერდიანმა დასტამ აღმართა.

როგორც ირკვევა, ფაჩულიას ურთიერთობა არ მოუწესრიგებია ძველ კლუბთან, თურქულ „ულქერთან“. თურქები გაიძახიან, ფაჩულია კიდევ ორი წელი გვეკუთვნისო. თავად ფაჩულიას თქმით, მას სტამბოლის კლუბთან კონტრაქტი ოქტომბერში უმთავრდება. სანამ „ორლანდო მეჯიქი“ ვითარებაში გარკვევას ცდილობს, დრო მიდის და ფაჩულიას „მეჯიქში“ ჩარიცხვა ჭიანურდება.

ამასობაში კი ამერიკის მეორე კიდეზე, კალიფორნიაში, ლონგ ბიჩის საზაფხულო ლიგაში იხარჯება მეორე ქართველი ნიკა ცქიტიშვილი. ნიკამ კიდევ ერთი კარგი თამაში ჩაატარა და „ჰიუსტონის“ დუბლებს 19 ქულა ჩაუგდო. კარგი შედეგია, მაგრამ ერთი შევნიშნოთ: ნიკას რეგულარულ სეზონში, ნბა-ს ნამდვილ თამაშებში ამის ნახევარი რომ ეკეთებინა, დღეს ლონგ ბიჩში ოფლად არ დაიღვრებოდა.

[illegible] ფოტო



ზაზა ფაჩულია თურქებმა შეაფერხეს



ნიკა ცქიტიშვილი ზაფხულში ვარგობს

კახა კალაძე და „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი საკონტრაქტოდ ალბათ წლეულსაც შეთანხმდებიან

KAKHA È A CASA

2008 მილანი კალაძის სახლია

იტალიური „მილანი“ კახა კალაძესთან კონტრაქტის გაგრძელებას 2008 წლამდე აპირებს. ეს ინფორმაცია გუშინწინ გავრცელდა, გუშინ კი კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა.

„მილანი“ კი ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად დღეს უნდა შეიკრიბოს და შესაძლოა, კახასა და კლუბის ახალი კონტრაქტი დღესვე გაფორმდეს.

— უკვე მილანში ვარ, თუმც შვებულება ხვალ გვიმთავრდება — გვითხრა კახამ — კი, გავიგე, რომ შესაძლოა, „მილანმა“ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზოს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ამაზე უკეთესი გუნდი სად არის, თუმც ვიდრე კონტრაქტს გავაგრძელებ, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობას სამომავლო პირობებზეც დაველაპარაკები.

2001 წლის იანვარში ხელმოწერილი კონტრაქტით კახა კალაძე „მილანს“ 2005 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის, ჩვენიანმა კი მილანელებს სანახევროდ გასრულებული ვადის შემდეგ თავი ისე მოაწონა, რომ კიდევ ხუთი წლით აპირებენ მის დატოვებას.

დარჩეს...

კობა ინასარიძე

გერმანიაში ხუმრობა და ჩაფრობაა

ქართველთა გუნდებმა, „რეინჯერსმა“ და „შალკემ“ გერმანიაში მოსამზადებელი ეტაპების მატჩები ითამაშეს — „ჩაფრებმა“ მეორე ბუნდესლიგის „ფიურტს“ 2:0 მოუგეს, „ხუმარებმა“ კი ჰოლანდიის „როდას“ 6:0.

რეინჯერსელთაგან ორივე გოლი სტივ ტომპსონმა გაიტანა. შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი მატჩის ბოლო წუთებზე შევიდნენ მინდორზე. ალექს მაკლიშმა სასტარტოში იმ ფეხბურთელებს უხმო, რომლებსაც ივნისის დასაწყისში ეროვნულ ნაკრებებში არ უთამაშიათ — რეინჯერსელებს შეკრება 7 ივლისს დაეწყოთ, ხოლო ნაკრებებში მობურთალთ ერთი კვირით გვიან, მათ შორის არველაძე-ხიზანიშვილსაც.

შალკელთაგან კი გოლები ებე სანდმა, ტომაშ ჰაიტომ, გუსტავო ვარელამ და სიმონ ცოიმერმა გაიტანეს. ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა მატჩი და სანდს საგოლე პასიც მიართვა.

დავით თავართქილაძე



ზურა და შოთა „რეინჯერსმა“ ბოლოსთვის შემოინახა

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. II ტური

შახტარი 4:0 ვორსკლა
ჩერნომორეცი 1:0 დინამო
დნიპრო 4:1 კარპატი
კრივბასი 1:0 ზირკა
მ. ზაპოროჟიე 1:0 ბორისფენი
არსენალი 2:1 ობოლონი
ტავრია 1:1 მ. დონეცკი
ვოლინი 2:2 ილიჩევეცი

გერმანია

ლიგის თასის I ეტაპი

ჰამბურგი 2:1 ჰერტა

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
პირველი ტური

ბრეგენცი 1:0 ზალცბურგი

შვედეთი

XIV ტური

აიკ 0:2 გიოტებორგი
იორგრიტე 0:3 იურგორდენი

ფინეთი

XIII ტური

კუოპიო 0:0 ტურკუ
ტამპერე 2:0 მიუპა

REUTERS

გუშინ. ქველი მატჩი ბორდოში: „ჟირონდა“ და ვარსკვლავები ზიდანითურთ საჰარის უდაბნოს ბავშვებისთვის გაისარჯნენ

მიქელე იანკუ
ტირანიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ახლა კი დავრწმუნდით, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის ღირსი თბილისის „დინამოა“, გუნდი, რომელმაც სავსებით დამსახურებულად დაამარცხა „ტირანა“ და იმედგაცრუებულები დაგვტოვა.

„დინამო“ — „ტირანას“ მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი მთელმა ალბანეთმა ნახა და დღეს ყველა ერთ აზრზეა — „ტირანა“ ზედმეტმა თავდაჯერებულობამ, მეტოქის დაუფასებლობამ დაღუპა. თბილისური მატჩი „ტირანასთვის“ საშინელება გამოდგა. ჩვენ არ ვითვლით მომენტებს, დასათვლელი გოლებია და ამიტომაც ვამბობთ, „დინამომ“ შემდეგ ეტაპზე თამაში დაიმსახურა.

„უმაქნისი დაცვა, უსუსური შუა ხაზი. არ შეიძლება, მთელი გუნდი ერთი ფეხბურთელის იმედად იყოს. მუკამ თავისი კლასი გუშინაც დაამტკიცა, მაგრამ მხოლოდ მისი თავგანწირვა ასეთი დონის მატჩში საკმარისი არ არის. „ტირანას“ შემხვედარეს პულსი გვიჩერდებოდა, ასეთი უაზრო ფეხბურთი ალბანელებს კარგა ხანია, არ უთამაშიათ“ — წერს „ექსპრეს სპორტი“.

„სამარცხვინო „ტირანა“ — ასეთია ყველაზე დიდტირაჟიანი ალბანური სპორტული გაზეთის „სპორტ შკიპტარის“ საპირველგვერდო სათაური.

„ექსპრეს სპორტმა“ კი თბილისური წერილი ერთი სიტყვით დაასათაურა — „ფიასკო“. ამავე გაზეთმა თითოეული ალბანელი ფეხბურთელი შეაფასა. ყველამ, მუკას გარდა, 2-2,5 დაიმსახურა, მუკამ — 3.

„სპორტ შკიპტარის“ აზრით, თბილისში „ტირანას“ გამარჯვებას არც არავინ ელოდა, თუმც ასეთი საშინელი ანგარიშიც წარმოუდგენელი იყო: „მატჩი რომ 3:1 დამთავრებულიყო, ჩვენებს ტირანაში „დინამოს“ ძლევის

ალბანური მექსპრეს-დარდი

შანსი ექნებოდათ, ახლა კი უიმედოდ ვართ, სასწაულის მოლოდინში“.

იგივე განწყობაა საფეხბურთო წრეებში, თუმც „ტირანას“ ქომაგებს უკვე ისიც ეეჭვებათ, რომ გუნდი „ქემალ სტაფაზე“ თუნდაც მინიმალური ანგარიშით მოიგებს. „დინამომ“ ჩვენზე მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მასპინძლებმა რაციონალურად ითამაშეს, თუმც ამჟამინდელი „დინამო“, ალბათ თქვენც დამეთანხმებით, ძველს ვერ შეედრება. „ტირანას“ კი მაინც აჯობა.

თბილისური შეხვედრის შემდეგ მოსალოდნელია, რომ ტირანაშიც მატჩი უმაყურებლოდ ჩატარდეს. „ქემალ სტაფაზე“ დიდი-დიდი 3-4 ათასი ქომაგი მივიდეს და გუნდი გაამხნევოს. ამ სტადიონზე, ჩვეულებრივ, 7-9 ათასი კაცი იკრიბება, მაგრამ ახლა ვშიშობთ, „ტირანას“ ქომაგის მხარდაჭერა მოაკლდება.

„ძალიან უკმაყოფილო ვარ. დიახ, გეთანხმებით, ჩვენ თბილისში ბევრი შეცდომა დავუშვით, განსაკუთრებით დაცვაში, თუმც ვიტყვი, რომ მეტოქე გვყავდა ძლიერი. „დინამოს“ რამდენიმე მატჩის ფირი მქონდა ნანახი და გუნდს ტაქტიკური დავალებაც ამის გათვალისწინებით მივეცი. თბილისში სხვა „დინამო“ დამხვდა. ქართველების ტექნიკურობა ყველამ იცის, ჩვენ კი თბილისში ტექნიკური, სწრაფი და ორგანიზებული გუნდი დაგვხვდა. არ ველოდით, ასე თუ დავმარცხდებოდით. სამწუხაროდ, მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა — მცველების შეცდომებს თვლა არ ჰქონდა. და მაინც, ფეხბურთი ფეხბურთია, თავს განწირულად არ ვთვლით, ტირანაში ვიბრძოლებთ და მოგებას ვეცდებით“ — თქვა „ტირანას“ მწვრთნელმა სულეიმან მემამ, რომელმაც თბილისიდან ღამით ჩამოფრენილი ფეხბურთელები არცკი დაასვენა და ექვს საათზე ვარჯიში დაუნიშნა. ექვსი საათი სწორედ ის დროა, როცა „ტირანა“ — „დინამოს“ მატჩია დანიშნული.

გუშინ არ უვარჯიშია თბილისში პენალტის გამცუდებელ ფორტუზის. ის, ექიმების დიაგნოზით, დეპრესირებულია და საეჭვოა, საპასუხო მატჩში ითამაშოს. ფეხბურთელს ერთი შეხედვით არაფერი ეტყობა, თუმც თბილისი — ტირანას ავიაგზაზე შეკრებული ძლივს მოუსულიერებიათ.

NJOFTIM

Vetëm 395 euro

Agjencia e udhëtimeve, “Odisea Travel” në bashkëpunim me klubin e futbollit Tirana, organizon:

Çarter për
DINAMO TBILISI - TIRANA

Në këtë çmim përfshihen:
- udhëtimi nga Rinasi në Tbilis më 15 korrik
- pagesa e vizës hyrëse në Gjeorgji
- bileta e stadiumit
- autobuz në dispozicion për lëvizjet në Tbilis
- fjetja dhe mëngjesi
- udhëtimi nga Tbilisi në Tiranë më 16 korrik, direkt pas ndeshjes

Të interesuarit të kontaktojnë me agjencinë përmes këtyre numrave telefonikë:
Tel. 240 707; 240 708
Cel. 069 20 33 222

ალბანური გულუბრყვილობის ნიმუში: მატჩამდე ოთხი დღით ადრე ერთი ალბანური ტურისტული ფირმა უმაყურებლო თბილისურ მატჩზე მაყურებელს ეპატიჟებოდა

ტირანელებმა თბილისიდან დიდი საფიქრალი წაიღეს

მე-15 კოკა-კოლას დალევს, მარსს დააყოლებს, სტიმოროლს დაღეჭავს ლუდზე პარლამენტმა იზრუნოს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაცია და ახლადშექმნილი პროფესიული საფეხბურთო ლიგა ერთობლივად ჩაატარებენ, მერე კი პროფლიგა დამოუკიდებლად გაუძღვება საქმეს. მოკლედ, ქართულ ფეხბურთში საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი იდგმება, რათა ჩვენი ჩემპიონატი და საფეხბურთო მეურნეობა ევროპულ კაიდაზე აეწყოს – პროფლიგის მიერ განეული სამუშაოების შედეგი და ხარისხი ალბათ მალევე გამოჩნდება.

კონკრეტულ ფაქტებზე კი ახლავე შეიძლება ლაპარაკი და აი, ინტერვიუ პროფესიული ლიგის პრეზიდენტთან დიმიტრი რამიშვილთან...

ბადრი ჯეიფარაძის ფოტო

მერაბ ყორდანია და დიმიტრი რამიშვილი მე-15 ეროვნულს ერთობლივად ჩაატარებენ

— რა ხანია, კულუარებში დამდეგი ჩემპიონატის სავარაუდო გენერალურ სპონსორზე ლაპარაკობენ — შეგიძლიათ რაიმე დაგვიკონკრეტოთ?

— ჩემპიონატის გენერალური სპონსორი კომპანია „კოკა-კოლა“ იქნება, ხოლო ერთ-ერთი მთავარი სპონსორი — „საქართველოს ბანკი“.

— პროფლიგასა და ამ კომპანიებს შორის გარიგების ფინანსური მხარე კონფიდენციალურია?

— დიახ.

— ტელეკომპანიებიდან რომლები იქნებიან თქვენი პარტნიორები?

— ტელეკომპანია „იმედი“ სეზონში 20-25 მატჩის ტელეტრანსლაციას მოაწყობს, აქედან 14 თამაში თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით იქნება, როგორც სტუმრად, ისე საშინაო. კონკრეტულად თუ როგორ ვითანამშრომლებთ „რუსთავი 2“-თან, ეს უახლოეს დროში გაირკვევა. ივეგმება გარიგება მე-9 არხთანაც, რომელიც ადრეც აშუქებდა ეროვნულ ჩემპიონატს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები პირველ არხთანაც.

— რეგიონალურ ტელეკომპანიებთან არ ითანამშრომლებთ?

— როგორ არა — რამდენიმე რეპორტაჟს ტელეკომპანია „აჭარაც“ გადასცემს. აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ახვლედიანი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ფეხბურთის განვითარებას აჭარაში. მოკლედ, ჩვენთან ურთიერთობაში „აჭარაც“ ჩაერთვება.

— კიდევ რომელი კომპანიები იქნებიან თქვენი პარტნიორები?

— „სტიმოროლი“ და „მარსი“. ისე, ჩვენთან პარტნიორობის მსურველები სხვა კომპანიებიც არიან, რომლებთანაც მოლაპარაკებები გრძელდება. მალე პროფესიულ ლიგას თავისი ლოგოც ექნება.

— საქვეყნოდ ცნობილია კომპანია „ყაზბეგის“ ინტერესი სპორტი-სადმი — თქვენი და ამ ფირმის ურთიერთობა მოსალოდნელი არ არის?

— საქმე ისაა, რომ კომპანია „ყაზბეგს“ ჩვენი პარტნიორობის ძალიან დიდი სურვილი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობით ეს შეუძლებელია — ალკოჰოლურ კომპანიებს რატომღაც აკრძალული აქვთ სპორტში მოღვაწეობა. არადა, განვითარებულ ქვეყნებში ლუდის ჩამომსხმელ ფირმებს არავინ უკრძალავს სპორტთან და ფეხბურთთან საქმიან ურთიერთობას. ჩვენ პარლამენტს თხოვნით მივმართეთ, ამ კანონისთვის გადაეხედათ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ არ გაუტანიათ განსახილველად.

— კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავს პროფლიგა?

— გვსურს, თავისებური სპორტული ლატარიის „გათამაშებაც“ მოვაწყოთ, თუმც ეს ამ ჩემპიონატისთვის ვერ მოესწრება, გაისად კი ალბათ მოხერხდება. ლატარიაში მხოლოდ მატჩზე მისული მაყურებელი შეძლებს მონაწილეობის მიღებას. ყველა ჩვენი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ საქართველოს ჩემპიონატისკენ მაყურებელი და კომპანიები მივიზიდოთ, გაიზარდოს ინტერესი ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების მიმართ.

— ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ პროფლიგა მალე ფინანსურად წელგამართული ორგანიზაცია იქნება?

— ინვესტიციების მოზიდვა ძალიან მნიშვნელოვანია და ამ მხრივ უკვე ვისაქმიანეთ. კარგია, რომ საქმიანი წრეები ფეხბურთით ინტერესდებიან და ამის პრეცენდენტი ბევრი უნდა იყოს. მაგალითად, „დინამო“-„ბორჯომის“ ამასწინანდელი გარიგება ერთ-ერთი პოზიტიური მოვლენაა ქართული ფეხბურთისთვის.

— საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელების დაზღვევის საკითხს კლუბები დამოუკიდებლად მიხედავენ თუ ეს ერთიან სისტემაში იქნება?

— სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკებას სწორედ კლუბების პროფესიული საფეხბურთო ლიგა უძღვება და ჩვენი პარტნიორი სადაზღვევო ფირმის ვინაობა ძალიან მალე გაცხადდება.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯეიფარაძის ფოტო

ერთი გაფიქრება ასათიანისა გამო

ჩვენი ხარ, ბიჭო, მალხაზი

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ორიოდ დღის წინ კონტრაქტი გაუფორმა დმიტრი ხოხლოვს, ერთ-ერთ გამორჩეულ რუს ფეხბურთელს. კლუბი ესპანურ „სოსიედადს“ მოურიგდა და ამ ტრანსფერით მთელი რუსეთი აალაპარაკა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ორიოდ თვის წინ კონტრაქტი გაუფორმა მალხაზ ასათიანს; ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ ფეხბურთელს, რომლის კარიერასაც მოსკოვურ კლუბში, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, აწყობილი არ ეთქმის...

როცა ასათიანის „ლოკომოტივში“ ტრანსფერზე მიდგა საქმე, ჩვენც ავლაპარაკდით. ფეხბურთელის არჩევანს ზოგი იწონებდა, ზოგიც — არა. თუმც მაშინ ფეხბურთელს ბევრსაც არაფერს ეკითხებოდნენ. დაინტერესდა რუსი ქართველით, ფულს გამოვიდა და ტრანსფერიც გაიჩარხა. ასათიანის ტრანსფერი თბილისის „დინამოშიც“ იყო შესაძლებელი, მაგრამ მოსკოვმა თბილისი გადაწონა. იქ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივაა, რუსული ფეხბურთის დონეო, ფეხბურთელი ფეხბურთელად გაიზრდებაო, ქვეყანას გამოადგებაო... იყო ბევრი არგუმენტი, რომლებითაც ასათიანის „ლოკომოტივში“ ტრანსფერს ამართლებდნენ.

ასათიანი ქვეყანას ერთხელ უკვე გამოადგა — რუსებს ისტორიული გოლი გაუტანა, მაგრამ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ეს რუსეთის, რუსული ფეხბურთისა და „ლოკომოტივში“ მისი გადასვლის შედეგი იყო. აპრილამდე ასათიანს მოსკოვურ გუნდში რამდენიმე წუთი თუ ეთამაშა და თბილისში ასე ჩამოვიდა. მალხაზს არც აპრილის მერე ეძლევა თავის გამოჩენის საშუალება. ვარჯიშობს, თავს არ ზოგავს, თითქოს ოპტიმალურ ფორმაშიც არის, მაგრამ მწვრთნელი სხვას ფიქრობს. „ლოკომოტივს“ ჰყავს ლოსკოვი, ასევე ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი რუსეთში, ასათიანის ამპლუის მოთამაშე — შემტევი ცენტრალური ნახევარმცველი. სიომინი ლოსკოვს, ვიდრე ორივენი ამ გუნდში იქნებიან, სკამზე არ დასვამს, ასათიანს კი, ვიდრე ლოსკოვი ჯანზე იქნება, ვფიქრობთ, თავის პოზიციაზე თამაშს არ აღირსებს. მალხაზს თუ „ლოკომოტივში“ უთამაშია, უთამაშია ან თავდამსხმელად, ანაც განაპირა ჰავბეკად, რაც მისთვის უჩვეულოა და პოტენციის გამოვლენაში ხელის შემშლელი. ახლა კი ვეჭვობთ, ასათიანს საერთოდ თუ მიეცემა „ლოკომოტივში“ თამაშის საშუალება — მოსკოველებმა ხოხლოვი იყიდეს, ლოსკოვზე მეტად მალხაზის ყაიდის ფეხბურთელი.

რუსის და არა მხოლოდ რუსის ფსიქოლოგიაა — ცოცხალია თუ მკვდარი, ჩემი უკეთესია. არის და იყოს, ოღონდ ჩვენსას ნუ ევნება. რუსის ფსიქოლოგია ქართველისთვის უცხოა, უცხოა, ცხადია, ასათიანისთვისაც. ის ვერ იგუებს ცივ და პრაგმატულ ურთიერთობას, ვერ აიტანს სკამზე ჯდომასა და მისი აზრით გაუგებარ ხუშტურებს. და თუ ცოტა ხანსაც ასე გაგრძელდა, ვაითუ, ასათიანის ნიჭი მოსკოვშივე დაიკარგოს.

სიტყვა თბილისის „დინამოს“: ეგებ ერთხელაც სცადოთ და ეს ბიჭი რუსებისგან, ნათხოვრობა იქნება თუ ყიდვა, დაიხსნათ... მით უმეტეს, ივო შუშაკს საქართველოში ჩამოსვლის დღიდან ასათიანი აკერია პირზე, მისი ნიჭის დამფასებელია და სურს, მალხაზმა მასთან ითამაშოს.

მეტიც, უკვე ჩანს, რომ ფეხბურთელისთვის „ლოკომოტივში“ დარჩენა პერსპექტიული საქმე არ არის და ნუ გამოვრიცხავთ, მალხაზს გული სხვაგან მიუწევდეს. აქვე ერთიც გავითვალისწინოთ, ასათიანს ყოველთვის სურდა „დინამოში“ თამაში. იქნებ ეს სურვილი ჯერაც არ განელებია?

ბოგა ინასარიძე

სულ რაღაც ერთი თვის მანძილზე მეთოთხმეტე ჩემპიონატის ბრინჯაოსანმა „ვიტ ჯორჯიამ“ სამი წამყვანი ფეხბურთელი გაასხვისა. მელქაძე უკვე „დინამოსია“, ხოლო ყიფიანმა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ მიაშურა. პირველი ტრანსფერი კი ვიტელთა მარცხენაფლანგელ ოლეგ გველესიანისა იყო. მას, ან უკვე ყოფილ თანაგუნდელებთან შედარებით, პატივიც მეტი ერგო. გველესიანის მსურველმა დონეცკის „მეტალურგმა“ თბილისში ჩარტერული რეისი მოავლინა, ჩვენებური აეროპორტში დათქმულ დროს დაიბარა და უკრაინაში გააქანა.

ინტერტოტოს თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიულ „პაშინგთან“ თავგამოჩენილი გველესიანი უკვე „მეტალურგშიც“ გაშინაურდა, კლუბის თავკაცები კარგი თვალით უყურებენ და, როგორც გვითხრა, ახალ მეგობრებთან ურთიერთობაც არ უჭირს. ან რა უნდა გასჭირვებოდა, დონეცკში ხომ გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე დახვდნენ.

გუშინ ოლეგი სასაუბროდ მოვიხელთეთ, საქმეები ჯერჯერობით უკეთესობისკენ მისდის, თუმც არც წვრილმანი პრობლემები აკლია...

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

შენთვის თვითმფრინავი გამოუგზავნიათ?

ოლეგ გველესიანის ბედნიერების კომპლექტს ერთი ფურცელიღა აკლია

— „მეტალურგმა“ თვალი როდის დაგადგა?

— ზუსტად არც მე ვიცი. ავსტრიულ „პაშინგთან“ თბილისური მატჩის შემდეგ ჯანი კარნევალიმ მითხრა, შენი გარჯა უკრაინელებს მოეწონათ და მათგან შეხმიანებას ელოდეო. მეორე დღეს „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა დავით სამუშამ დამირეკა და ოთხ საათზე სასწრაფოდ აეროპორტში დამიბარა. ხეირიანად ბარგის შეკვრაც ვერ მოვასწარი. რევაზ ჩელებაძესთან ერთად უკრაინიდან ჩამოფრენილ თვითმფრინავში მოვკალათდი და რამდენიმე საათში თავი დონეცკში ამოვყავი.

— უკრაინელების მზირი, როგორც ვიცით, ავსტრიაშიც იყო. მაშინ არ შეგხმიანებიან?

— თამაში იქ უფრო გამომივიდა, მაგრამ მეუბნებოდნენ, შენით ავსტრიელები დაინტერესდნენო. უკრაინელები თვალითაც არ მინახავს და არც არავის უხსენებია.

— დონეცკში ჩასულს კლუბის წარმომადგენელი ან რომელიმე მწვრთნელი ხომ არ დაგხვედრია?

— გიორგი დემეტრაძე დამხვდა. ესპანეთიდან ისიც ახალი ჩამოსული იყო, მერე ორივენი ყირიმის გზას დავადექით, „მეტალურგი“ იალტაში იყო შეკრებაზე და გუნდს შევუერთდით.

— შენი საკითხი დადებითად როდის გადაწყდა?

— იალტაში ჩასული გოჩა ჯამარაულმა მთავარ მწვრთნელთან წარმადგინა. საერთოდ, გოჩა გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ტყუილუბრალოდ ხომ არ აირჩევდნენ კაპიტნად. თავისი სიტყვა გიორგი დემეტრაძესაც ეთქმის, ასე რომ, დაძაბულობა ნამდვილად არ მიგვრძნია. მთავარი მწვრთნელი სევიდოვი კარგი პიროვნება ჩანს, გულთბილად მიმიღო, ვიცით შენი შესაძლებლობები, კიდევ დაგაკვირდებით და თუ გაგვიმართლებ, პირობებზე მერე დაგელაპარაკებითო.

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

— სევიდოვმა ამპლუა ხომ არ შეგიცვალა?

— სამ საკონტროლო თამაშში მივიღე მონაწილეობა. მწვრთნელი პირველი ტაიმის შემდეგ მიშვებდა მოედანზე და მეც ყველანაირად ვცდილობდი, რაც შემეძლო, მეჩვენებინა. პირველ მატჩში მარცხენა მცველად გამამწესეს, დანარჩენ ორში კი მთელი ფლანგი მებარა.

— „მეტალურგთან“ კონტრაქტი უკვე გაგიფორმებია...

— დონეცკში რომ დავბრუნდით, კლუბის ხელმძღვანელებმა დამიბარეს, წინ კონტრაქტი დამიდეს და მოლაპარაკებაც დაიწყო. ჩემი პირობების გარკვევას მწვრთნელი სევიდოვიც ესწრებოდა, რომელმაც სიტყვა შემაწია, ნამდვილად საჭირო ფეხბურთელიაო. ცოტა ხანში 3+2-წლიან პირად კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

— ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება შენს ინტერესებში შედიოდა თუ სხვა გარემოებამაც განაპირობა?

— არა, რატომ, მე მომწონს აქაურობა, პირობები ჩინებულია, გუნდსაც კარგად შევეგუე და არც უკრაინის ჩემპიონატია ხელწამოსაკრავი. თანაც გოჩა და გიორგი იქ არიან და ეს დონეცკში ადაპტაციას მიადვილებს.

— კლუბის ბაზაზე ცხოვრობ თუ სასტუმროში?

— ბინა ვიქირავე. კლუბმა ფული გამომიყო, ხელფასიც მომცეს. კვირას თბილისიდან ჩემი მეუღლე ჩამოვა და უფრო კომფორტულად მოვეწყობი. აქამდე კი ჯერ ჯამარაულთან ვცხოვრობდი, მერე დემეტრაძესთან.

— უკრაინის ჩემპიონატი უკვე დაიწყო, შენ კი „მეტალურგის“ განაცხადში ჯერ არ გამოჩენილხარ. უცნაურია, კლუბმა კონტრაქტი გაგიფორმა, ბინა გამოგიყო და აღარ გათამაშებს. გუნდში კონკურენტები ბლომად გყავს?

— ჩემი სათამაშო 25-ნომრიანი მაისურა უკვე გადმომცეს. კონკურენტებიც არიან, მაგრამ ჩემი უთამაშებლობის მიზეზი სულ სხვაა. ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო ფურცელი არ მიმიღია. უამისოდ კი თამაშის უფლება არ მაქვს. თუმც დიდი პრობლემა არც ეს არის. „ვიტ ჯორჯია“ და „მეტალურგი“ ერთმანეთში ფორმალურ საკითხებს საბოლოოდ მოაგვარებენ და მეც ავთამაშდები.

— გველესიანი, მელქაძე, ყიფიანი... თქვენი წასვლით „ვიტ ჯორჯიას“ სერიოზული ძალა დაკარგა. როგორ ფიქრობ, ვეტერინარები საპრიზოებისთვის ბრძოლას ისევ შეძლებენ?

— „ვიტ ჯორჯიაში“ ბლომად დარჩნენ ნიჭიერი მოთამაშეები, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ და ცოტა ხანში ნებისმიერ ქართულ გუნდს ტოლ-სწორად ეთამაშებიან. ვფიქრობ, ჩვენი წასვლით გუნდი მაინცდამაინც არ დასუსტებულა და მჯერა, ისევ მოწინავე სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

ბამუკა ძვანტალიანი

ისე რა გვიშავს, ბარემ

ბალაძე აღმაშფოთებელ მოდებაძეს ემუქრება

„ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ გუნდის დაკომპლექტება დაასრულა. მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს „ბათუმი“ გაახალგაზრდავებულ-გადახალისებული შეხვდება. მართალია, ზღვისპირელებს მცირე პრობლემები ჯერაც მოსაგვარებელი აქვთ, მაგრამ, ბალაძის თქმით, ამასაც მალე ეშველება. საქმე ორ ფეხბურთელს ეხება — ვალერი გაგუას და გიორგი მოდებაძეს.



ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

ასლან ბალაძე

წინა სეზონში ფოთის „კოლხეთის“ ნახევარმცველ გაგუას საქმე შედარებით იოლადაა. ის „ბათუმს“ მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდა და დღემდე იქ ვარჯიშობს. მის გაბათუმელებასაც წინ თითქოს არაფერი ედგა, თუმც „კოლხეთი“ გაგუას ვერ ელევა.

— ვალერის სურვილია, ჩვენთან ითამაშოს. „კოლხეთთან“ რაღაც გაუგებრობა კი შეიქმნა, მაგრამ იმედი მაქვს, მალე შევთანხმდებით — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ.

გიორგი მოდებაძეს კი უმკაცრესად დავსჯითო, იმუქრება „ბათუმის“ თავკაცი. მეთოთხმეტე ეროვნულში ბათუმელთა საუკეთესო ბომბარდირი ისე გაუჩინარებულა გუნდიდან, მისი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის. არადა, მოდებაძეს კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს კლუბთან.

— მოდებაძის საქციელი აღმაშფოთებელია. ასე უნებართვოდ გუნდის მიტოვება არ შეიძლება. როგორც მითხრეს, ლუგანსკში წავიდა სათამაშოდო, მაგრამ ტყუილად ირჯება. ეს ფეხბურთელი თბილისის „დინამოსგან“ ვინათხოვრეთ, ერთი წელი კიდევ ჩვენია და უფლებას არ მივცემთ, ასე მოგვექცეს. „დინამოშიც“ გვითხრეს, რომ მისი სამყოფელი არ იციან. ძალიან მკაცრად დავსჯით — გვითხრა ბალაძემ.

„ბათუმი“ ამხანაგური მატჩების გამართვას თურქეთში აპირებდა, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა. ასლან ბალაძის თქმით, ამ პერიოდში თურქეთში სპარინგ-პარტნიორების მოძებნა რთული იყო და ტყუილად აქეთ-იქით ხეტიალს მშობლიურ ქალაქში დარჩენა ამჯობინა.

ბოლოს ბალაძის შეგირდები ფოთის „კოლხეთს“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად და ფურცხვანიძის დუბლით 2:1 მოიგეს. დღეს „ბათუმი“ ოზურგეთის „მერცხალს“ შეხვდება.

აქვე იმ ფეხბურთელთა ვინაობასაც გამცნობთ, რომლებიც მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში „ბათუმის“ მაისურით ითამაშებენ

მეკარეები: ქვაჩახია, ი. ბალაძე;

მცველები: მახარაძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, ცანავა, მანჩხავა, სალუქვაძე;

ნახევარმცველები: ი. შენგელია, ქაცარავა, ბესიკ თედორაძე, დარჩიძე, კობიძე, ბეგლარ თედორაძე, ნემსაძე, იალამიდი;

თავდამსხმელები: ფურცხვანიძე, ფირცხალაიშვილი, ბეჟანიძე, ცინარიძე, კაჭარავა.

ასლან ბალაძის აზრით, „ბათუმი“ ზედა ექვსეულში მოსახვედრად იბრძოლებს. გუნდიდან მხოლოდ სეფერთელაძე და გურეშიძე წავიდნენ, ძირითადი ბირთვი კი შენარჩუნებულია. გუნდს ფინანსურადაც არ უჭირს. 20 ან 21 ივლისს ზღვისპირელები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ და ამით საწვრთნელი შეკრება დასრულდება.

ძახა შალამბერიძე



ბუბუნა ფოლადაშვილის ფოტო

ჯერაც „კოლხეთის“ ვალერი გაგუა (მარცხნივ) „ბათუმში“ ვარჯიშობს

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სლიმა (მალტა) 2:0 **სპონტო** (ლატვია)
1:0 დ. ბოგდანოვიჩი (63), 2:0 დონკიჩი (67პ)
სპონტო: პიდელსონი, ისაკოვსი, ზემლინსკისი, ბუიტკუსი, ვერპაკოვსკისი (კალნინიში 89), ბლანკსი (კრრდლინძე 70), ლობანოვსი, სიმენიოვსი, დედურა, ნგუიმბატი, მოროზი
გაძევება: ისაკოვსი (66)

შერიფი (მოლდოვა) 1:0 **ფლორა** (ესტონეთი)
1:0 ტუდორი (88)
შერიფი: ხუტანი, ტესტიმიცანუ, პრიგანიუკი, **ოსარხნიშვილი**, ივანოვი, კ. ტუდორი, ბორეცი, დადუ (ნესტერიუკი 75), ბანდი (ბარისეი 31), გუმენიუკი (ფარიასი 62), ლაკუსტა

ბატე (ბელარუსი) 1:0 **ბოჰემიანსი** (ირლანდია)
1:0 ლოშანკოვი (24)

პიუნიკი (სომხეთი) 1:0 **რეიკიავიკი** (ისლანდია)
1:0 ბანადიანი (60)

ომონია (კვიპროსი) 0:0 **ირტიში** (ყაზახეთი)
გაძევება: ბაბერი (90, ომონია)

ვარდარი (მაკედონია) 3:0 **ბარი თაუნი** (უელსი)
1:0 ვანდაირი (38), 2:0 რისტოვსკი (48), 3:0 ვანდაირი (69)

გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 0:0 **ლეოტარი** (ბოსნია)

ტორსჰავნი (ფარერები) 0:1 **კაუნასი** (ლიტვა)
0:1 ოპიმი (75)
გაძევება: ტეიდგაუდასი (83, კაუნასი)

გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 0:0 **ჰიკ** (ფინეთი)

საპასუხო მატჩები გაიმართება 23 ივლისს

37° ცელსიუსით
ჯერ სად ხართ, სიცხე მერე ნახეთ

„მილანისა“ და კახა კალაძის მიერ ჩემპიონთა თასის მოგებიდან 49 დღის თავზე ჩემპიონთა ლიგაში ახალი სეზონი ქართული გოლით დაიწყო. ოთხშაბათს გამართულ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ათ მატჩში პირველი გოლი თბილისში გავიდა, მისი ავტორი კი ლევან მელქაძე შეიქნა.

ქვემოთ სხვა ცხრა შეხვედრის პერიპეტიებზე მოგითხრობთ, თუმც შევნიშნოთ, რომ ამ წყვილებში მოგებულ-წაგებულის ვინაობას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რაკი ძალიან საეჭვოა, მათგან რომელიმემ ნაღდ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს

„დინამოს“ ადრინდელმა გამლახველმა, ბელარუსულმა ბატე-მ შინ მინიმალური სხვაობით სძლია ირლანდიულ „ბოჰემიანსს“ და ერთი კვირის შემდეგ დუბლინში ამ მცირე უპირატესობის შენარჩუნებას ეცდება.

შეხვედრის დასაწყისი და ბოლო წუთები ირლანდიელებისა იყო და ორი ძალიან კარგი მომენტიც გაატანეს ქარს, შუალედში კი უკეთესად ბატე თამაშობდა. ხოლო გოლი ევგენი ლოშანკოვმა გაიტანა ოლეგ შკაბარას პასით.

მყიფე უპირატესობის მიუხედავად, ბორისოვოელები კმაყოფილები დარჩნენ, მათმა მწვრთნელმა იური პუნტუსმა კი თქვა, თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა კიდევ ერთი გოლიც გვეკუთვნოდა. „ბოჰემიანსის“ თავკაცმა სტივენ კენიმ კი მარცხი უიღბლობას გადააბრალა.

მალტურმა „სლიმამ“ 37-გრადუსიან ხვატში, მაგრამ ცოცხალ თამაშში თავისი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მალტური საზომებით ხომ „სკონტო“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის.

მეორე წუთზევე მასპინძელთა ახალწვეულმა დანიელ ბოგდანოვიჩმა ბურთი ძელს გაარტყა და ამის მერე „სლიმა“ მთელი თამაში უტევდა. სკონტოელებს კი, ფაქტობრივად, ერთადერთი კარგი მომენტი ჰქონდათ, როცა მარის ვერპაკოვსკისი მეკარეს პირისპირ შეეყარა. ხოლო გოლები, 4-წუთიან მონაკვეთში, ნახსენებმა ბოგდანოვიჩმა და დანილო დონკიჩმა გაიტანეს. დონკიჩის პენალტს რიგელი ისაკოვსის გაძევება უძღოდა.

ნამატჩევს „სლიმას“ მწვრთნელმა ედვარდ აკვილინამ თქვა, უპირველესად, უკეთესი ტაქტიკის გამო მოვიგეთო.

პოსტსაბჭოელებმა, მოლდოვურმა „შერიფმა“ და ესტონურმა „ფლორამ“ თამაში გოლის ამაო ძიებაში გალიეს და როცა საქმეს უგოლო პირი გამოუჩნდა, მოლდოველებმა სწორედ მაშინ გაიტანეს. ტირასპოლელთა რუმინელმა ლეგიონერმა კრისტიან ტუდორმა 88-ე წუთზე 20 მეტრიდან გაიტანა.

ამ წყვილში გამარჯვებული კი შემდეგ წრეში კიდევ ერთ პოსტსაბჭოელს, დონეცკის „შახტარს“ შეხვდება.

იცით, რა არის უცნაური? უელსურ „ბარი თაუნს“ თითქოს ურიგოდ არ უთამაშია და პირველ ტაიმში მცირე უპირატესობასაც ფლობდა. მაგრამ ანგარიშს შევხედოთ: მაკედონიურმა „ვარდარმა“, ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, 3:0 მოიგო და ფაქტობრივად გაინაღდა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის ცსკა-ს მეტოქეობა.

სკოპიელთა სამი გოლიდან კი ორი ბრაზილიელმა ოლივეირა ვანდეირ დუშ სანტუშმა გაიტანა, ერთიც მაკედონიელმა დეიან რისტოვსკიმ.

ყაზახეთი შარშან გახდა უეფას წევრი. კვიპროსული „ომონია“ კი აგერ, 30 წელია, ევროთასებზე თამაშობს. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ნიქოზიური ფრე „ირტიშის“ წარმატებას ნიშნავს.

ნიქოზიაში აუტანლად ცხელოდა, თუმცა ყაზახებს სიცხით რას გააკვირვებ. მაგრამ ისიცაა, რომ ფრის მიღწევაში „ირტიშს“ პირველ რიგში მეკარე იური ნოვიკოვი შეეწია, ისეთი ბურთები აიღო.

ნამატჩევს კვიპროსელთა მწვრთნელმა ტონი საიესკიმ თქვა, ფავორიტად მაინც ჩვენ ვრჩებითო, ყაზახთა თავკაცმა დმიტრი ოგაიმ კი შეუსწორა, ორივეს თანაბარი შანსები გვაქვსო.

უგოლოდ კიდევ ორი თამაში დასრულდა, „გრევენმახერი“ — „ლეოტარი“ და „გლენტორანი“ — ჰიკ. რა შეიძლება ვთქვათ — ნიქოზიური მატჩისგან განსხვავებით, ლუქსემბურგული თამაში თავსხმა წვიმაში ჩატარდა, ხოლო ბელფასტში ჩრდილოირლანდიელებმაც და ფინელებმაც 90 წუთი თამაშის რიტმის ძიებაში გალიეს და ეგრეც ვერ იპოვეს.

REUTERS სკოპიედან

ვარდარი — ბარი თაუნი. უელსელ ენტონი მოლიოს მაკედონიელმა ნიკოლა ჟოსევსკიმ წაქცევა დაუპირა

ჩვენს სამეზობლოში, ერევანში, „პიუნიკმა“ 1:0 მოუგო „რეიკიავიკს“. ისე, სომხებს სულ ცოტა ერთი გოლის გატანა კიდევ მართებდათ, რაკი მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე რაფიკ ნაზარიანმა პენალტი გააფუჭა, მეკარემ აუღო. საერთოდ კი, ეს ისლანდიელთა მეკარის, კრისტიან ფინბოგასონის მატჩი იყო — პენალტის გარდა იმდენი მკვდარი ბურთი მოიგერია, სამ მატჩს ეყოფოდა. ამიტომაც, მატჩის შემდეგ „რეიკიავიკის“ მწვრთნელმა ტორ ტორსონმა ფინბოგასონი საგანგებოდ გამოარჩია და თქვა, ეს მისი საუკეთესო მატჩი იყოო.

ერთი მატჩი დაგვრჩა — ერთადერთი, რომელიც სტუმარი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. „კაუნასმა“ ფარერელთა ჩემპიონი „ტორსჰავნი“ დაამარცხა. ეს ის „ტორსჰავნია“, თავის დროზე ბათუმის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასზე 6:0 რომ მოუგო.

ბოლოს შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ბატე-ს და „ტორსჰავნის“ გარდა ქართულ კლუბებთან „ვარდარს“ („სამტრედიასთან“ უეფას თასზე) და „გრევენმახერს“ („დინამოსთან“ ლიგაში) უთამაშიათ.

გიორგი დარჯანია

2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია
ნორვეგია 0:1 იტალია

პორტუგალია	1	1	0	0	5:0	3
იტალია	1	1	0	0	1:0	3
ნორვეგია	1	0	0	1	0:1	0
ლიხტენშტაინი	1	0	0	1	0:5	0

II ტური, დღეს: პორტუგალია — იტალია; ლიხტენშტაინი — ნორვეგია

B ჯგუფი. I ტური

ინგლისი 1:2 ავსტრია
საფრანგეთი 3:3 ჩეხეთი

ავსტრია	1	1	0	0	2:1	3
საფრანგეთი	1	0	1	0	3:3	1
ჩეხეთი	1	0	1	0	3:3	1
ინგლისი	1	0	0	1	1:2	0

II ტური, დღეს: საფრანგეთი — ინგლისი; ჩეხეთი — ავსტრია

საფრანგეთი — ჩეხეთი. მეკარე პეტრ ბოლეკმა ფრანგი სილვენ იდინჟარისგან მეოთხე გოლი აღარ გაუშვა

პინ, ცვეი, შტაინ...
მასპინძელს ხარი მაგრად უჭრიალებს

ოთხშაბათს დაწყებული ევროპის ჩემპიონატი ამ ასაკის ჭაბუკებში ოდენ მეორედ ტარდება. მისი წინამორბედი კი 18-წლამდელთა ჩემპიონატი გახლდათ. შარშანდელი პირველი ჩემპიონატი ფინეთში გაიმართა და ფინალში ესპანეთმა გერმანიას 1:0 მოუგო. სხვათა შორის, მაშინ ესპანელ ჭაბუკებს მათი ეროვნული გუნდის ახლანდელი დამრიგებელი ინაკი სესი წვრთნიდა.

ახლა ფინალურ ეტაპზე გასულ რვა გუნდს შორის არც ჩემპიონია და არც ვიცე-ჩემპიონი. ვაი, რომ მათ კვალიფიკაცია ვერ გაიარეს. სამაგიეროდ, თამაშობს ლიხტენშტაინი, ოღონდ არა კარგი გუნდის ყოლის გამო, არამედ ძალიან უბრალო მიზეზით — ჩემპიონატი ამ ჯუჯა ქვეყანაში ტარდება.

ისე, რა გუნდიც ჰყავს მასპინძელ ქვეყანას, პორტუგალიასთან პირველ ტურშიც გამოჩნდა და სხვა შედეგს არც ველოდებოდით.

მაგრამ არ ველოდებოდით ავსტრიელთაგან ინგლისის ძლევას. ავსტრიელებს გამარჯვება შტურმელი იურგენ სამუელის გოლმა მოუტანა.

ავსტრია თავიდანვე უკეთ გამოიყურებოდა და საწყის 25 წუთში გვარიან უპირატესობას ფლობდა. ანგარიშიც მათვე გახსნეს, მე-5 წუთზე კუთხურს მოყოლებული ლუკას მესნერის თავურით. მაგრამ ტაიმის მიწურულს ინგლისელებმა თამაში გამოასწორეს და მიდლსბროელმა სტიუარტ დაუნინგმა 20-მეტრიანი საჯარიმოთი გაათანაბრა.

სამუელმა გამარჯვების გოლი თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე გაიტანა, მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, რასაც ინგლისელთა მეტისმეტად მწვავე შეტევები მოჰყვა, განსაკუთრებით კი მას მერე, რაც ავსტრიელებს სტივენ შუმახერი გაუგდეს. თუმცა ამან აღარაფერი შეცვალა.

პაოლო ბერეტინის იტალიამ ბოლო წუთამდე ვერაფერი მოუხერხა ნორვეგიელთა ჩინებულად ორგანიზებულ დაცვას. ის ერთადერთი გოლი კი პატარა „სკუადრა აძურამ“ პენალტით გაიტანა. საგოლე დარტყმა რომაელმა აილანიმ შეასრულა.

ტურის ყველაზე თვალსაჩინო თამაში კი საფრანგეთისა და ჩეხეთის ექვსგოლიანი შერკინება იყო, თან ფრიად მოულოდნელი დასასრულით. საქმე ის გახლავთ, რომ 87-ე წუთისთვის ფრანგები 3:1 იგებდნენ და როგორ წარმოიდგენდნენ, ოდენ ერთი ქულის ამარა თუ დარჩებოდნენ.

ირაკლი ნინიძე

მზეო, მზეო, ცხრათვალა
იბერიული მოთხრობა

ვისაც სტივ არჩიბალდი არ ახსოვს, შევახსენებთ: ეს შოტლანდიელი ფორვარდი 80-იან წლებში ერთობ შთამბეჭდავად მოჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილ საფეხბურთო მინდვრებზე, ხოლო მის მიერ მოვლილ კლუბთა შორის თვით „ბარსელონა“ დგას გამოსაჩენ ადგილას. კატალონიაში არჩიბალდს „არჩიგოლი“ შეარქვეს — მას იქ დღემდე სიყვარულით იხსენებენ. მაგრამ რამ გაგვახსენა ამ გაგანია ზაფხულში სქოთი თავდამსხმელი? იმან, რომ არჩიბალდმა დაახლოებით ოცი წლის წინ გაიარა ყველაფერი ის, რაც ახლა ინგლისელმა დევიდ ბექემმა უნდა გაიაროს და ამიტომაც ბრიტანელი ჟურნალისტები განსაკუთრებული ინტერესით უსმენენ მის იბერიულ მონათხრობს



ცხოვრების წესი

არჩიბალდი ბრძანებს, რომ ესპანეთში ხალხი მეტი განცხრომით ცხოვრობს ვიდრე მათთან, ბრიტანეთში. თურმე ესპანელები უფრო ხშირად წვებიან მზარ-თეძოზე და სწორედ ამით არ ჰგვანან ინგლისელებს თუ შოტლანდიელებს, რომლებიც ნიადაგ დაძაბული სახეებით მიიჩქარიან ერთი ადგილიდან მეორისკენ.

ყოფილი ბარსელონელი ამბობს, რომ ესპანელებს მუშაობაც მეტისმეტი თავგამოდებით ეხერხებათ, მაგრამ ზუსტად იციან, დროის უმეტესი ნაწილი დასვენებისთვის როგორ გადაინახონ:

„ბექემებს მოუწევთ ჭამის, ძილის და სხვა ჩვეული რამეებისთვის ახალი გრაფიკის შედგენა და ახლებურ რეჟიმზე გადაწყობა. კარგი კი ის არის, რომ ესპანური ცხოვრების წესი ოჯახური ცხოვრებისთვის გახლავთ ზედგამოჭრილი. თან, ბექემების ორი ბავშვისთვის დიდებული ის იქნება, რომ ინგლისში დაბრუნების წინ სრულყოფილად ილაპარაკებენ ორ ენაზე“.

ენა

არჩიბალდი ამტკიცებს, რომ ესპანური რთული ენაა, რომლის გაგებაც გაცილებით იოლია, ვიდრე ლაპარაკი. თავად ენის გასატეხად დაახლოებით ერთი წელი დასჭირვებია და ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ ბარსელონაში ჩასვლისთანავე ვარჯიშებიდან გაკვეთილზე მიიჩქაროდა.

„დევიდის ადგილზე ესპანურის სწავლით თავს არ მოვიკლავდი — გულწრფელად ამბობს სქოთი — მას ხომ გვერდით ინგლისელი სტივ მაკმანამანი ეყოლება და ყველაფერს ის აუხსნის (არჩიბალდმა ალბათ არ იცის, რომ „რეალი“ მაკმანამანს თავიდან იშორებს). ესეც რომ არ იყოს, ფეხბურთს სულ რამდენიმე ფრაზა სჭირდება. ასე რომ, მთავარია, ის ფრაზები დაიმახსოვროს. იცით, მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ამთავითვე ძლიერად ითამაშოს, ვიდრე თავანკარა ესპანურით ალაპარაკდეს, მითუფრო, ასეთი გახმაურებული ტრანსფერის შემდეგ.

მართალი რომ გითხრათ, ადამიანს დამქანცველი ვარჯიშის შემდეგ ყველაზე ნაკლებად ესპანურის ორსაათიან გაკვეთილზე ჯდომა გინდა. ერთი სიტყვით, ჩემი რჩევა იქნება, ენა ნება-ნება, აუჩქარებლად ისწავლოს და მთელი გონება თამაშზე, თავიდანვე ეფექტის მოხდენაზე მომართოს.“

თუ პირში გემო გაქვთ

იმ ადამიანებს, ვისაც პირში გემო აქვს, არჩიბალდი არწმუნებს, რომ ესპანური კერძები დიდებულია და საერთოდ, იქაური სამზარეულო ინგლისურისგან ძალიან განსხვავდება. ყოფილ თავდამსხმელს განსაკუთრებით თევზეული ახსოვს, ხოლო კერძებზე სიტყვის გაგრძელების შემდეგ აცხადებს:

„ჩვენ, ბრიტანეთში, საჭმლის მომზადება არ ვიცით.“

არჩიბალდი ესპანურ კერძებში ასე უხვად შერეულ სანელებლებსა და სუნელებს აღუფრთოვანებია:

„ესპანელი არასდროს ისაუზმებს შემწვარი ბეკონით და კვერცხით, რასაც ბრიტანეთში ყოველ დილას ვაკეთებთ.“

ამინდი

არჩიბალდის აზრით, კიდევ ერთი რამ, რაც ასე განასხვავებს ბრიტანეთსა და ესპანეთს, დარი გახლავთ — მზე.

„აქ, ბრიტანეთში შეფუთნული ვარჯიშობ, რომ არ შეგცივდეს, იქ კი შორტისა და მაისურის ამარა ხარ და ხარ. სხეულისთვის, სპორტსმენის კუნთებისთვის სითბო სჯობს, რადგან შეკუმშულ კუნთებს გაწელვას არ აძალებ“ — ამბობს „კამპ ნოუს“ ოდინდელი ფავორიტი. მისი ფიქრით, ესპანური მზე დევიდს ვარჯიშის შემდეგ დარჩენის და საჯარიმოებში მეტად და უკეთ გაწაფვის საშუალებას მისცემს.

ქომაგები

არჩიბალდი იგონებს:

„როდესაც „ბარსელონაში“ ჩავედი, ლეგენდარული დიეგო მარადონა ახალი წასული იყო და ქომაგებმა უნებურად ჩემგან ბევრი მოითხოვეს. კიდევ კარგი, გოლების გატანა იმთავითვე დავიწყე და ამით პრესისა და გულშემატკივრების გული მოვიგე. იმედი მაქვს, დევიდსაც ასევე აეწყობა საქმე, თორემ ამდენი ვარსკვლავით განებივრებული ესპანელი ქომაგისთვის თავის მოწონება მეტისმეტად ძნელია.“

ვეტერანი ამბობს, რომ გარემოს ცვლა და ახალ ადგილას დამკვიდრება ფეხბურთელის პროფესიის ნაწილია და იგონებს, როგორ წავიდა თავად, ოდესღაც, გლაზგოდან ლონდონში, ანუ ოჯახიდან უცხო გარემოში, სადაც ერთი ხნის შემდეგ მეგობრები შეიძინა, მაგრამ გუდა-ნაბადიც აიკრა და ახალი თავგადასავლების საძიებლად ესპანეთისკენ გაეშურა.

„არჩიგოლი“ სტივ არჩიბალდი

პაპუნა კედია



ოსმალო ვეფხვი
რუშთუს ღაწვების შეღებვამ თვალები აუხილა

ორიოდ თვეში ესპანეთში ალბათ ყველა დროის ყველაზე ცეცხლოვანი სეზონი დაიწყება, სადაც „ბარსას“ ღირსების დასაცავად თურქ რუშთუ რეჯებერსაც ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს. მარადიული მეტოქის კარის დარაჯის აზრის გასაგებად კატალონიას მადრიდის „რეალის“ მეხოტბე გაზეთ AS-ის ჟურნალისტი ეწვია

— ალბათ, ხუან ლაპორტას მადლიერი ხართ, „ბარსელონაში“ რომ გადმოგიყვანათ...

— როგორც კი „ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტის განახლებაზე უარი ვთქვი, რამდენიმე დიდი კლუბიდან მივიღე კარგი შემოთავაზება. ხუან ლაპორტა კი „ბარსას“ საპრეზიდენტო არჩევნებისას ჩემს გვარს ხშირად ახსენებდა, რამაც გარკვეულწილად დამაინტერესა. იმ პერიოდში ლონდონის „არსენალიც“ მეპატიჟებოდა, მაგრამ გავრისკე და „მეფოთეებთან“ არ გადავედი. გამიმართლა და ამჟამად „ბარსელონაში“ ყოფნით დიდად კმაყოფილი ვარ.

— ხომ არ გეწყინთ, როცა თქვენი ტრანსფერის განხორციელებისას დევიდ ბექემისადმი ბარსელონურ ინტერესებზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე რუშთუს გუნდში ჩარიცხვაზე?

— აქ საწყენი და გასაბრაზებელი არაფერია. ბექემის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ჩემი სატრანსფერო ამბები კი დაჩრდილა, მაგრამ ვთვლი, რომ ეს ნორმალური მოვლენა იყო.

— რას ფიქრობთ ბექემზე?

— როგორც ფეხბურთელი, შესანიშნავია, მაგრამ ამ ბოლო დროს, მგონი, მსოფლიო მედიის მძლავრი იარაღი უფროა, ვიდრე კარგი მობურთალი.

— „ბარსა“ 1995 წლიდან მოყოლებული სულ საიმედო გოლკიპერის ძიებაშია...

— ანდონი სუბისარეტას წასვლისთანავე გუნდს დიდი პრობლემები შეექმნა. რადგან ევროპულ და მსოფლიო არენაზე საკმაო გამოცდილება მივიღე, ვფიქრობ, კატალონიელთა დაცვას კარგ დახმარებას გავუწევ.

— ვიქტორ ვალდესის შესახებ რა იცით?

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვნახე რამდენიმე მატჩი მისი მონაწილეობით და, ჩემი აზრით, ვიქტორი თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალია. ერთმანეთს გამოცდილებას გავუზიარებთ, თანაც „კამპ ნოუზე“ პირველი თვეების განმავლობაში სხვადასხვა სიძნელეების გადალახვაში დამეხმარება.

— რას იტყვით იმ გუნდის შესახებ, სადაც ზიდანი, ბექემი, ფიგუ, რონალდო და რაული თამაშობენ?

— ძლიერ შთამბეჭდავია, მაგრამ მადრიდის „რეალით“ სამყარო არ მთავრდება. შევეცდებით, მომავალ პრიმერაში მადრიდელებს რაც შეიძლება, მეტი სირთულეები შევუქმნათ. დიდ ვარსკვლავთა შეძენა პერესის გუნდის პოლიტიკაა, რაც მეტოქეთა მხრიდანაც ყოველთვის პატივისცემას საჭიროებს.

— ღაწვების საბრძოლო შეღებვა როდის დაიწყეთ?

— „ფენერბაჰჩეს“ სტადიონის განათება საღამოს მატჩების დროს პირდაპირ თვალებში მირტყამდა და ამ ხერხსაც იმიტომ მივმართე. ლოყაზე მუქი საღებავი თავისებურ ჩრდილს ქმნის და გადამეტებული კაშკაშა შუქის დროსაც მოედნის ყოველ კუთხეს კარგად ვხედავ. ახლა ეს ჩემი სტილი გახდა და ნებისმიერი შეხვედრისას ვიყენებ.

— „კამპ ნოუზეც“ ასე გამოხვალთ?

— რასაკვირველია.

— ესპანეთში ეგრეთ წოდებული ტრიბუნების შიში ხომ არ შეგაწუხებთ?

— არა მგონია. ყოფილა ისეთ ჯოჯოხეთურ გარემოცვაში მითამაშია, აქაურ გულშემატკივრებს საერთოდ რომ არ დაესიზმრებათ.

— ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო მეკარე?

— ჩემი ფავორიტი ყოველთვის პიტერ შმაიხელი იყო. არც ვალდესი და მე მოვისუსტებთ ოსტატობის მხრივ.

— იკერ კასილიასზე რაღას იტყვით?

— დიდი მომავალი აქვს. ჯერ ახალგაზრდაა, თუმცა ძლიერ ბეჯითია და მჯერა, კიდევ ბევრს მიაღწევს.

მანჩესტერს რონალდინიო აუფეთქდა

შემთხვევის ადგილზე პირველი ბარსელონა გაჩნდა

მაშინ, როდესაც რონალდინიოს „ბარსელონაში“ გადასვლის ყოველგვარი იმედი თითქმის ჩაიფერფლა და კატალონიური გრანდის თავკაცებმა უკვე სათადარიგო ვარიანტზე, პორტუგალიელ დეკო სოუზაზე ზრუნვა დაიწყეს, „ბარსელონას“ უეცარი სიხარული ეწვია, რომელიც საკვებით მოსალოდნელია, სასწაულად იქცეს.

აღმოჩნდა, რომ ალბიონური „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პარიზული პსჟ-ს სატრანსფერო ურთიერთობანი არცთუ ისე შეხმატკბილებულად მიმდინარეობს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და თავად ბრაზილიელი რონალდინიოც მთლად მოხიბლული ვერ უნდა იყოს პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივით.

„რონალდინიო უფრო „ბარსაში“ წავა, ვიდრე ჩვენთან ითამაშებს“ — გამაგოგნებელი ფრაზა უთხრა სერ ალექს ფერგიუსონმა ფრანგულ „ეკიპს“.

გამაოგნებელი იმიტომ, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიოს სპორტული მედია და ორივე კლუბის წარმომადგენლები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, ბრაზილიელის ინგლისში ტრანსფერს წყალი არ გაუვა და რონალდინიო უკვე ღირსეული მანჩესტერელიაო.

16 ივლისს ინგლისელებმა ფრანგებს საბოლოო თანხა შესთავაზეს და ჰოი, საოცრებავ! ადრე აღთქმული 30 მილიონი ევროს ნაცვლად სახტად დარჩენილ ფრანსის გრაილს, „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტს, ოდენ 22 მილიონიანი ჩეკი აუფრიალეს ცხვირწინ.

ამ გაუგონარი სიძუნწით გაცოფებულმა გრაილმა მანჩესტერელების გულის გასახეთქად განაცხადა: რონალდინიო „ბარსელონაში“ გადასვლასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა, როგორც ახლა, ამ წუთას იმყოფებაო და „მანჩესტერის“ თავმჯდომარე პიტერ კინიონთან საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა.

ჰოდა, კატალონიელებმაც აღარ დააყოვნეს და პარიზელთა განრისხებას უმალ გამოეხმაურენ — ხუან ლაპორტას გუნდი ბრაზილიელში 27 მილიონი ევროს გადასახდელად მზად არის.

ახალ შეთავაზებაში ხუან რომან რიკელმესა და ფილიპ კრისტენვალის გვარები აღარ მოიხსენიება, რამეთუ ფრანგული კლუბი რონალდინიოს ღირებულების მთლიანად ფულით მიღებას არჩევს.

„ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ფრანგებს ხელსაყრელი შეთანხმება შევთავაზეთ. დანარჩენი პსჟ-სა და რონალდინიოზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა პრეზიდენტმა ლაპორტამ.

„ამჟამად უკვე გვაქვს ზუსტი ინფორმაცია რონალდინიოს ჩვენდამი სიმპათიების შესახებ. გარდა ამისა, კიდევ არის რამდენიმე საკითხი, რომელთა სამზეოზე გამოტანა, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არ მინდა“ — იდუმალებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა „ბარსელონას“ გენერალურმა დირექტორმა ხავიერ პერეს ფარგუელმა.

ლადო ხომერიკი

რივერის ფალავნები

მარსელო სალასი ფესვებს უბრუნდება

მარსელო სალასი შეიძლება „რივერ პლეიტში“ დაბრუნდეს. ოღონდ ჯერ ტურინის „იუვენტუსს“ საბოლოო პასუხი უნდა უთხრას, გუნდში რჩება თუ არა.

„უახლოეს 48 საათში ყველაფერი გაირკვევა. უკვე რვა თვეა, რაც სალასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და სავსებით შესაძლებელია, ივი „რივერში“ გადმოვიდეს. რა თქმა უნდა, ჯერ „იუვენტუსთან“ უნდა გაარკვიოს ურთიერთობა, გადაწყვიტოს, უნდა ევროპაში დარჩენა თუ არა. თუ მარსელო ევროპას დატოვებს, „რივერ პლეიტს“ დაუბრუნდება“ — განაცხადა არგენტინული კლუბის წარმომადგენელმა მარიო ისრაელმა.

გავიხსენოთ, რომ 27 წლის ჩილელმა ვარსკვლავმა 90-იან წლებში „რივერში“ გატარებული წარმატებული სეზონების შემდეგ „ლაციოში“ გადასვლა არჩია, ხოლო 2001 წლიდან „იუვენტუსში“ გააგრძელა კარიერა, მაგრამ მცირე ხანში ფეხის ურთულესი ტრავმა მიიღო და იძულებული შეიქნა, მთელი ერთი სეზონით დიდ ფეხბურთს გამომშვიდობებოდა.

არგენტინული პრესისავე ცნობით, სალასი ფრიად დაინტერესებულია პატაგონიაში დაბრუნებით.

მარსელო სალასთან ერთად „რივერში“ ითამაშებს დანიელ მონტენეგროც, „ინდეპენდიენტეს“ მობურთალი, რომელიც ალემანურ „ვოლფსბურგში“ გადასულ არგენტინელ მარგალიტს, ანდრეს დალესანდროს შეცვლის. ასე რომ, მომავალ აპერტურას კლაუსურას ჩემპიონი „რივერ პლეიტი“ ახალი ძალებით აღჭურვილი შეეგებება.

ლადო ხომერიკი

ბერძნულ „პანათინაიკოსს“ გამოცდილი მეკარე დაუბრუნდა. 29 წლის კოსტას ჩალკიასშა სალონიკის „ირაკლისი“ დატოვა და ორწლიანი განშორების შემდეგ „პანათინაიკოსთან“ ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „ბედნიერი ვარ. დავბრუნდი იქ, სადაც მელოდებოდნენ. „პანათინაიკოსი“ ჩემი მშობლიური კლუბია. ყველანაირად ვეცდები, ჩემი გამოცდილება და უნარი გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მოვახმარო“ — ამბობს კოსტას ჩალკიასი.

გერმანულ „დორტმუნდი“ თავის ლეგენდარულ კაპიტანს გლოვობს. 82 წლის ასაკში დუისბურგში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა ალფრედ პრაისლერი. „პრაისლერი „ბორუსიას“ ცხოვრება იყო. ის მხოლოდ ბრწყინვალე ფეხბურთელი კი არა, უპირველესად პიროვნულად გამორჩეული ადამიანი გახლდათ. საწყენია, ამიერიდან ჩვენ პრაისლერზე მხოლოდ მოგონებებიღა დაგვრჩება. მშვიდობით!“ — გერდ ხიბაუმი, დორტმუნდის „ბორუსიას“ პრეზიდენტი.

ისრაელის დედაქალაქის „ჰაპოელმა“ ქვეყნის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ტრანსფერზე 13 ფეხბურთელი დააყენა და გუნდის შევსებას ახალი მოთამაშეებით ლამობს. „ჰაპოელს“ 14 აგვისტოს უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩი ელის სომხურ „ბანანცთან“ და შემადგენლობის გაძლიერება უნდა. „ჰაპოელმა“ გუშინ ფეთაჰთიკველი სეხნიისგან 23 წლის ნახევარმცველი იოსი როზენი გადაიბირა. ბოლო სეზონში 8 გოლის გამტანი ფეხბურთელი დედაქალაქელებმა 100 000 ევროდ გამოისყიდეს და 3-წლიანი ხელშეკრულებაც უმალ გაუფორმეს. იოსი როზენი „ჰაპოელის“ მესამე ახალწვეულია ყოფილ ბეერშეველ რამი აბუ ლაბენისა და ყოფილ ბეითარელ კფირ ედრის შემდეგ. „ჰაპოელის“ შევსება კიდევ გრძელდება.

ფრანგულ „მონაკოს“ მცველმა ჟულიენ როდრიგესმა კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მოგეხსენებათ, იქამდე სათავადოს გუნდი მექსიკელმა ცენტრალურმა მცველმა რაფაელ მარკესმა დატოვა და ესპანურ „ბარსელონაში“ გადავიდა. „მონაკოს“ მწვრთნელ დიდიე დეშანის თქმით, როდრიგესი ძალიან საჭირო და ძვირფასი ფეხბურთელი გახდება მისი გუნდისთვის. როდრიგესს არაერთი მსურველი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან დეშანს არ უღალატა და დარჩენა არჩია. „გმადლობთ, ჟულიენ, შენი დარჩენით ძალიან გაგვახარე. „მონაკო“ შენ ძალიან გემადლიერება“ — კლუბის ოფიციალურ ვებსაიტზე დიდიე დეშანის ამ სიტყვებს ამოიკითხავთ.

ბულგარულ ცსკა-ში ამიერიდან ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ლეო ლიმა ითამაშებს. 21 წლის სამხრეთამერიკელი ბოლოს „ვასკუ და გამას“ წევრი გახლდათ. მან სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და სოფიელებთან ოთხწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. დედაქალაქური კლუბი ახლა გერმანიაში იმყოფება შეკრებაზე. ცსკა ბულგარეთის ახალი ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება. ახალწვეული ლიმაც თანაგუნდელებს სწორედ გერმანიაში ჩააკითხავს. „მოხარული ვარ, ევროპაში რომ ვითამაშებ. ცსკა ტიტულიანი კლუბია და იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც მოვხვდებით“ — აღფრთოვანებულია ლეო ლიმა. „მას დიდი ხნის მანძილზე ვაკვირდებოდით, ძალიან ნიჭიერია, მისი პიროვნული თვისებებითაც მოვიხიბლეთ. მჯერა, ლეო ლიმა გუნდის ნახევარდაცვას ჩინებულად შეეწყობა და გააძლიერებს“ — არც ცსკა-ს პრეზიდენტი სტოიკო მლადენოვი ფარავს სიხარულს.

უძრაინულმა „შახტარმა“ წამყვანი ფორვარდი ალექსი ბელიკი მოისაყლისა. ბელიკმა ქვეყნის ახალდაწყებული ჩემპიონატის პირველივე ტურის მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ უმძიმესი ტრავმა მიიღო. იგი გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. ექიმები „შახტარის“ გერმანელ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს დამაიმედებელს ვერაფერს ეუბნებიან, ვნახოთ, ოპერაცია როგორ ჩაივლის და მხოლოდ ამის მერე გვეცოდინება, ფეხბურთელი როდის შეძლებს ვარჯიშის განახლებასო. „შახტარს“ აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის მატჩები ელის, მისი მეტოქე ან მოლდოვური „შერიფი“ იქნება, ანაც ესტონური „ფლორა“. „საზარდულის კუნთი მაქვს გაწყვეტილი. ოპერაცია გერმანიაში უნდა გამიკეთონ. ვნახოთ, სარეაბილიტაციო კურსი როგორ ჩაივლის. ერთი კია, ჩემდა სამწუხაროდ, ფეხბურთს სულ ცოტა, სამი თვით გამოვეთხოვები. გული მტკივა, „შახტარს“ რომ ვერ დავეხმარები“ — თქვა გულმოკლულმა ბელიკმა.

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49



დორტმუნდელმა ტომაშ როსიცკიმ (მარჯვნივ) საამოდ ითამაშა

ევანილსონს ნახევარი წელი მოაჭრეს

გერმანია

ლიგის თასის I ეტაპი

დორტმუნდი 2:1 ბოხუმი

1:0 როსიცკი (30), 2:0 ამოროზო (33), 2:1 ჰაშემიანი (38)

დორტმუნდი: ი. ლემანი, შ. როიტერი, ვიორნსი, მადუნი, დედე, რიკენი (ევანილსონი 64; ო. ადო 72), კელი, ფრინგსი, როსიცკი, კოლერი, ამოროზო

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ჰარენჰორსტი, ბიონიგი, ცდებელი (ფ. ტაპალოვიჩი 68), ოლისე, ფრაიერი, ვოში (ბ. გუდიონსონი 61), ბაკლი (დიაბანგი 46), ჰაშემიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

გაფრთხილება: დიაბანგი

მსაჯი: შიპელი

11 200 მაყურებელი

ბუნდესლიგის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ექვსმა ბუნდესლიგელმა ახალი სეზონი ლიგის თასისთვის ბრძოლით გახსნა. ექვსეული ცხრილის მიხედვით ირჩევა: ჩემპიონიდან მეხუთე გუნდის ჩათვლით და „ბოხუმი", როგორც ლიგის თასის შარშანდელი მფლობელი.

პირველ-მეორე, ანუ მიუნხენის „ბაიერნი" და „შტუტგარტი" ნახევარფინალებში მეტოქეებს ელიან.

ნახევარფინალის ერთი საგზური წინა სეზონის მესამეადგილოსან „დორტმუნდს" თასის მფლობელთან უნდა გაერკვია, მეორე საგზურისთვის კი მეოთხე და მეხუთე გუნდები, „ჰამბურგი" და „ჰერტა", გუშინ მოგვიანებით შეეხალნენ ერთმანეთს.

„დორტმუნდი" კონტრაქტგაგრძელებული ჩეხი ტომაშ როსიცკის საამო თამაშით და მისივე გოლით დაწინაურდა. სამიოდ წუთში ბრაზილიელმა მარსიო ამოროზომ სხვაობა გაზარდა, თუმცა შესვენებამდე „ბოხუმის" ირანელმა ლეგიონერმა ვაჰიდ ჰაშემიანმა ერთი გაქვითა. მაყურებლებმა სულ რაღაც რვა წუთში გატანილი სამი გოლი ნახეს, მეორე ტაიმში კი მოიწყინეს.

მათიას ზამერის გუნდმა კი გაიმარჯვა, მაგრამ „დორტმუნდის" ბრაზილიელ ევანილსონს მუხლის მყესები დაუწყდა და ბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა.

ნახევარფინალები იენაში და აალენში გაიმართება. იენაში „შტუტგარტი" დორტმუნდელებს დაეტაკება, აალენში კი „ბაიერნი" „ჰამბურგ" — „ჰერტას" შორის გამარჯვებულს.

ლიგის თასის ფინალს 28 ივლისს მაინცი უმასპინძლებს.

გაჟა ხუციშვილი

ფაფუ! ლიდსს ხურდაც აღარ დარჩა

ახალი სეზონის დაწყებამდე „ლიდსში" ალბათ აღარავიან დარჩება. შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული, ვალებში ჩაფლულმა კლუბმა მწვრთნელი დევიდ ოლირი რომ გაუშვა, ზედ ფეხბურთელებიც მიაყოლა და მისმა შემცვლელმა ტერი ვენეიბლზმაც ამ გაზაფხულზე გუდა-ნაბადი აიკრა — გუნდში ფეხბურთელები აღარ დარჩნენ და ვინ გავწვრთნაო, მხრები აიჩეჩა ვენეიბლზმა.

„ლიდსის" ბოსებმა ვალების დასაფარად რამდენიმე ფეხბურთელი უკვე დაახურდავეს. ამ თვეში მათ რიცხვს ჰარი კიუელიც შეუერთდა, რომელიც „ლივერპულმა" მუქთად, 5 მილიონ გირვანქად გადაიბირა.

ახლა ჯერი მარკ ვიდუკაზეა. ავსტრალიელი მოთამაშის აგენტმა ანდრეა დამიკომ თქვა, ყველა წავიდა და ლიდსში ჩვენ აღარა გვესაქმებაო. მით უმეტეს, დასძინა აგენტმა, აგერ, ჰარი კიუელი ხუთ მილიონად თუ გაასაღეს, ვიდუკას გაყიდვაც არ უნდა იყოს ძნელი საქმეო.

ანდრეა დამიკოს არც ის დაუმალავს, რომ გაწამაწიაშია და ყოველდღე რამდენიმე კლუბის წარმომადგენელს ხვდება. მათ შორის ყველაზე მონდომებული ფრანგული „ლიონი" ყოფილა. ლიონელებს ჩემპიონთა ლიგა ელით და გუნდიდან წასული სონი ანდერსონის შემცვლელს ეძებენ. ბრაზილიელის მაგივრად ფერნანდო მორიენტესის აყვანა სურდათ, მაგრამ ესპანელმა თავი დაიფასა, ფრანგული კლუბი არ იკადრა.

„თვითონ ვიდუკასთვის „ლიონი" ურიგო ვარიანტი ნამდვილად არაა — განაცხადა აგენტმა — ისინი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, „ლიდსი" კი თითქმის პრემიერლიგის ფსკერზეა დალექილი და ასეთ ვითარებაში ევროთასები არც მომავალ წელს ელირსება".

„ლიონის" მზვერავები იმავდროულად ორ სხვადასხვა ფრონტზე მოქმედებენ. ერთი ვერსიით, მათ პარმიდან ადრიან მუტუს წაყვანა სდომებიათ, მეორე ვერსია კი ამსტერდამის „აიაქსის" შვედი ფორვარდი, ზლატან იბრაგიმოვიჩია. თავად იბრაგიმოვიჩს „რომაში" თამაში ეწადა, მაგრამ რომაელებმა „აიაქსიდან" კრისტიან კივუ უკვე წაიყვანეს.

გაჟა ხუციშვილი



მარკ ვიდუკა

ჩივილი ანონსად

ჩვენმა პიტბულმა სხვას უახინოს

რომან აბრამოვიჩმა სრულიად ევროპა ააფორიაქა. ტურინის „იუვენტუსს" ედგარ დავიდსის სანაცვლოდ 50 მილიონი გირვანქა რომ შესთავაზა, ცნობილი ამბავია. ტურინელებმა იუარეს, ისევე როგორც „ბლექბერნმა" დემიენ დაფის გაყიდვა.

„ბლექბერნი" სამჯერ თხოვნის შემდეგლა გატყდა, „ბებერი ქალბატონი" კი კვლავაც უარზეა. თუმცა ამ ამბავში ერთი საგულისხმო ფაქტია. ედგარ დავიდსს კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება და ტურინელები ახლა სარფიანად თუ არ გაყიდიან, ერთი წლის შემდეგ ჰოლანდიელი ვილაცას მუქთად ჩაუვარდება ხელში.

ასე რომ, „პიტბულის" წასვლა-დარჩენის საკითხი ჯერჯერობით სასწორზე დევს.

„იუვენტუსის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა ანონსად დაიჩივლა, დავიდსის წასვლა გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ: „იუვენტუსს" შეუძლია ნებისმიერი დონის ვარსკვლავის ვარსკვლავითვე შეცვლა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ლუჩანო მოჯი „პიტბულის" ბადალ ფეხბურთელს აუცილებლად მონახავს, თუმცა გუნდიდან თუ არავინ წავა, უკეთესი იქნება, სამომავლოდ უფრო ხალისიანად მოვემზადებით, რადგან ჩვენი მიზანი ჩემპიონთა თასის მოგებაა. მარჩელო ლიპის ხელში ახალწვეულები ერთიორად მოუმატებენ. ფაბრიციო მიკოლი შესანიშნავად თამაშობს და ძალას შეგვმატებს. ნიკოლა ლეგროტალიე ისედაც ძლიერ დაცვას კიდევ უფრო შეადუღაბებს. მას შეტევებში ხშირად ჩართვა და გოლის გატანაც ეხერხება. ნახევარდაცვაში სტეფან აპია გვეყოლება, რომელსაც „პარმადან" ვიცნობ. მან ფრიადზე იცის, რა და როგორ უნდა აკეთოს მოედანზე".

გაჟა ხუციშვილი

ფინეთი

გადადებული მატჩი

ჰაკა 5:0 ალიანსი

ჰაკა	11	8	2	1	25:5	26
ტამპერე	11	7	1	3	19:9	22
ჰიკ	12	6	4	2	18:10	22
ალიანსი	11	6	3	2	23:16	21
მიუპა	11	6	2	3	17:7	20
ჰამენლინა	12	5	3	4	13:18	18
ტურკუ	12	4	4	4	17:16	16
ინტერი	12	4	2	6	17:19	14
იოკერიტი	12	4	2	6	14:16	14
ჯაზი	12	4	1	7	15:25	13
კტპ	12	4	0	8	17:24	12
ლაჰტი	12	2	5	5	11:17	11
იარო	12	2	5	5	15:22	11
კუოპიო	12	2	2	8	13:30	8

ამხანაგური მატჩი

არგენტინა 2:2 ურუგვაი

1:0 დ. მილიტო (5), 1:1 ჩევანტონი (7), 2:1 დ. მილიტო (9), 2:2 გ. მილიტო (36ს.კ.)

შვეიცარია

I ტური

ბაზელი 2:1 ციურიხი

1:0 ჰ. იაკინი (33), 1:1 კეიტა (51), 2:1 ხუგელი (86)

გრასჰოპერი 0:1 ძსამაძსი

0:1 გრიფიტსი (53)

სერვეტი 3:1 ვილი

1:0 აზიავონუ (15), 1:1 მანგიარატი (23), 2:1 ობრადოვიჩი (76), 3:1 დიოგო (82)

სენტ გალენი 1:4 იანგ ბოისი

0:1, 0:2 შაპუიზა (8, 15), 0:3 ლეანდრო (32), 1:3 მერენდა (40), 1:4 ვონლანტენი (84)

თუნი 1:1 აარაუ

1:0 დუშ სანტუში (5), 1:1 ვალკერი (41)

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

1-ლი ტური: გრაცერი — ადმირა 1:0; კერნტენი — აუსტრია 2:1; რაპიდი — პაშინგი 4:2. *ბრეგენცი — ზალცბურგი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე), მატერსბურგი — შტურმი 26 ივლისს გაიმართება*

PEACE CUP

B ჯგუფი

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 4:2 მიუნხენი (გერმანია)

ლოს ანჯელეს გალაქსი (აშშ) 0:0 ნასიონალი (ურუგვაი)

კონკაკაფის ოქროს თასი 2003



სალვადორელმა ალფრედო სანჩესმა მარტინიკელი ჟან ვიქტორ ლაგრილი გადათელა

D ჯგუფი
II ტური

კოსტა რიკა 3:0 კუბა

1:0 სენტენო (45), 2:0 ბრისი (72), 3:0 სკოტი (77)

კანადა იხვენებს

საბოლოო ცხრილი

კოსტა რიკა	2	1	0	1	3:1	3
კუბა	2	1	0	1	2:3	3
კანადა	2	1	0	1	1:2	3

C ჯგუფი
II ტური

მარტინიკა 0:1 სალვადორი

0:1 მ. გონსალესი (76)

აშშ იხვენებს

საბოლოო ცხრილი

აშშ	2	2	0	0	4:0	6
სალვადორი	2	1	0	1	1:2	3
მარტინიკა	2	0	0	2	0:3	0

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ჯაჩინტო ფაკეტი

მან ყიფიანი არ წააქცია

არიოლ-რეშკა უსამართლობაა, ოღონდ გააჩნია, რა შემთხვევაში



მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ფაკეტი პელეს ვერ გაუმკლავდა

ეს „სან სიროზე" მოხდა: დავით ყიფიანმა ბურთი იხელთა და „ინტერის" კარისკენ გაიჭრა, კვალში კი მასპინძელთა შორის დიდი, იმჟამად უკვე ტიტულოვანი და ვეტერანი ჯაჩინტო ფაკეტი ჩაუდგა. ბურთის ფლობაში ყიფიანი უბადლო იყო — ვერა და ვერ მიუდგა ფაკეტი მისთვის მოსახერხებელი მხრიდან, ყიფიანმა კი წამი რომ იხელთა, დაარტყა და გოლი შეაგდო. მაშინ, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალიდან „დინამომ" „ინტერი" სწორედ ამ გოლის წყალობით გამოთიშა.

და დარჩა კითხვა, ერთი შეხედვით უპასუხო: ამოდენა მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ რომ სდევდა, ნუთუ ერთხელ არ იფიქრა ფეხის გამოდება? სხვანაირად რომ ვთქვათ, რაომ არ წააქცია ფაკეტიმ ყიფიანი, თუკი აშკარა იყო, რომ დინამოელი რამდენიმე წამში გოლს გაიტანდა?

ჩვენი მიზანი ამ კითხვაზე პასუხის ძიება არ არის. ვისაც უნდა იფიქროს, რომ იტალიელმა მცველმა მეტოქისთვის კვანტის დადება ვერ მოიფიქრა. ვისაც უნდა იფიქროს, თითქოს ბოლომდე სჯეროდა, რომ წაქცევის გარეშე აართმევდა ბურთს, ვისაც უნდა იფიქროს ის, რაც მაშინ, 1977 წელს, ბევრმა თქვა — ფაკეტიმ ფეხის დადება არ იკადრა... ჩვენი მიზანი ელეგანტური, მშვიდი და, წარმოსადეგი ჯაჩინტო ფაკეტის პორტრეტის ჩამოქნაა — მცველისა, რომელსაც გოლები გაჰქონდა და რომელმაც იმ ეპოქაში იბურთავა, „ინტერი" და იტალიის ნაკრები დიად წარმატებებს რომ აღწევდნენ.

დიახ, უხსენეთ „ინტერის" ქომაგს 60-იანი წლები, გნებავთ, ელენიო ერერა, გნებავთ, კატენაჩო და ნახავთ, რომ იმ, 40 წლის წინანდელი ამბის გახსენება, დღესაც აუნთებს თვალებს, აუჩქროლებს სისხლს თუ, რა ვიცით, რასაც ასეთ დროს ამბობენ, ყველაფერს იზამს. არადა, ბედისწერა არ არსებობსო... ფაკეტი, ტრევილიოელი ყმაწვილი თუ მოზარდი, კინაღამ ბერგამოს „ატალანტამ" წაიყვანა. ეს გასაგებიც იქნებოდა, რადგან ბერგამო ტრევილიოსთან გაცილებით ახლოსაა ვიდრე მილანი.

ელენიო ერერას მოგონებებიდან: „აშკარად ვხედავდი, რომ ეს ზორბა, მაღალი ფეხბურთელი, რომელსაც გული მოწინააღმდეგის კარისკენ მიუწევდა, მცველად გამომადგებოდა".

ერთი სიტყვით, ფაკეტიმ სახლიდან შორს, მილანში ამოჰყო თავი და მიუხედავად რთული დასაწყისისა, ერერას დაჟინებით ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი...

ერთხელაც გავიხსენოთ, რა ეპოქაზე ვლაპარაკობთ: 60-იან წლებზე, როდესაც ერერამ კატენაჩო მოიგონა (!). ესე იგი, ეს ის ეპოქაა, როდესაც დაცვა იდეურად ახალ სიმაღლეზე ავიდა და გუნდებმა — ყოველ შემთხვევაში „ინტერმა" — თამაშებისა და ჯილდოების მოგება დაცვიდან დაიწყეს.

ახლა კი უკეთ წარმოვიდგენთ რაზე და ვისზე ვლაპარაკობთ — ჯაჩინტო ფაკეტი, ტარკისიო ბურგნიჩი, არისტიდ გუარნერი და არმანდო პიკი ის ხალხია, ვინც ცალცალკე იქნებ ბევრს არც გაუგია, მაგრამ თუ მათ ერთად დაასახელებ და დიდი „ინტერის" 60-იანი წლების დაცვას, კატენაჩოს ახსენებ, ფეხბურთის ისტორიაში ძალიან გაუნათლებელი თუ დააღებს პირს, თორემ...

მაშინ „ინტერის" პრეზიდენტი დღევანდელი პრეზიდენტის, მასიმო მორატის მამა ანჯელო გახლდათ.

პირველი სკუდეტო ფაკეტიმ გუნდში მისვლიდან სამი წლის შემდეგ მოიგო, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ, 1965 და 1966 წლებში ჩემპიონთა თასი აღმართა. საინტერესო რამ გითხრათ? იყო სეზონი, როდესაც ჩვენი წერილის გმირმა — ვიმეორებთ, პირველი, ნაღდი, დიდი კატენაჩოს წევრმა — მეტოქის კარში ათი გოლი გაიტანა, ხოლო კარიერის ბოლოს მხოლოდ სერია A-ში 60 გოლი ჰქონდა დაგროვილი.

და რა გასაკვირია, რომ ასეთ ადამიანს ნაკრებში იძახებდნენ?

იძახებდნენო? მან „სკუადრა აძურაში" 94 მატჩი ჩაატარა. იტალიელთათვის სამაგელი მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის შემდეგ, 1970-ში „სკუადრა აძურამ" ფინალში ბრაზილიის ყველა დროის დიად ნაკრებთან წააგო, მაგრამ ერთი, რომ ფინალი ფინალია და მეორე, ამ ორ მუნდიალს შორის, 1968 წელს ფაკეტი და კამპანია ევროპის ჩემპიონი გახდა.

„ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ეს უმშვენიერესი მოგონებაა — ამბობს ვარსკვლავი — იმხანად იტალიას თითქმის 30 წელიწადი არაფერი მოეგო. ნახევარფინალში საბჭოთა კავშირს შევხვდით და 1:1 ვითამაშეთ. ასეთი იყო დამატებითი დროის შედეგი, მაშინდელი წესით კი ამ შემთხვევაში გამარჯვებული მონეტის აგდებას უნდა დაესახელებინა. მონეტა ჩვენს სასარგებლოდ დაჯდა. ვიცი, ეს მოგებულის გამოსავლენად საუკეთესო საშუალება არ არის, მაგრამ ვფიქრობ, მაშინ მონეტამაც სამართლიანად განსაჯა. ჩვენ ფინალში გასვლას ვიმსახურებდით".

იუგოსლაველებთან თამაში უცნაური, ორრაუნდიანი გამოდგა. პირველი მატჩი ფრედ დასრულდა და ამიტომ რეგლამენტმა გადათამაშება მოითხოვა, მეორე მატჩში კი რივასა და ანასტაზის გოლებით „სკუადრა აძურამ" იმარჯვა და:

„დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო მოგონება ნაკრებთან მაკავშირებს".

დავით ყიფიანმა ხალხს ფაკეტის კაცობა გააგებინა

1978 წლის მუნდიალის წინ ჯაჩინტო ფაკეტის კარიერა დასრულდა.

დღეს, დიდი მცველი „ინტერში" მუშაობს და, ალბათ, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, თორემ უთუოდ გვეცოდინებოდა.

პაპუნა ქედია



ჯაჩინტო ფაკეტი დღეს დიდი კაცი არ არის

დაგვაძინე, იორდან!

ლეჩკოვის აბეზარი მუსიკის ჰანგები



იორდან ლეჩკოვს ფეხბურთელობისას დევიდ ბექჰემივით წელიწადში 15 მილიონი ევრო არ მოუხვეჭია. ბულგარეთის ნაკრების ნაღდად კარგი ნახევარმცველი იყო და 1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანელებს მარადსახსოვარი გოლი გაუტანა და ბულგარეთს ამ დონის პირველი ნახევარფინალი ალირსა.

მას შემდეგ ნეჩკოვი ბუნდესლიგის „ჰამბურგში" გადავიდა. იქიდან სამშობლოში დაბრუნდა და გერმანიაში ნაშოვნი ფული სხვადასხვა საქმეში დააბანდა.

ქალაქ სლივენში ლეჩკოვი დისკოთეკა „იმპერიალს" ფლობს. „იმპერიალი" იქაურ ტლინკაობის მოყვარულთა ცნობილი ალაგია, მაგრამ ქალაქ სლივენის მოსახლეობას ტვინი გაუბურღა. კანონით მუსიკის ჰანგები ღამის 11 საათზე უნდა შეწყდეს, თუმცა გახურებულ მოცეკვავეებს ტაშ-ფანდურა რომ გაუტკბებათ, გვიანობამდე უბერავნ.

მოსახლეობამ იჩივლა: გერმანია და მაგის თავური ეშმაკსაც წაუღია, ლეჩკოვის ხათრით ღამეების თევა მოგვწყინდაო და იქ გადარეკეს. იქიდან პოლიცია მივიდა და თავმოტკლეპილი იორდანი განყოფილებაში მიიყვანეს. დილამდე ტკბილად ისაუბრეს, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალზე ისაუბრეს, თითო-ოროლა სიტყვა შეწუხებულ მოსახლეობასაც შეაწიეს და გამთენიისას ლეჩკოვი გაუშვეს. „იმპერიალი" ძველებურად მუშაობს, მაგრამ 11 საათზე იკეტება.

მაშა ხუციშვილი

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ესპანური ტრანსფერები 2003

ყველაზე ძვირადღებული ტრანსფერი: დევიდ ბექემი აწ რეალელია

ბეტისი

მოვიდნენ
არავინ
წავიდნენ
არავინ

სოსიედადი

მოვიდნენ
ალკისა (ბილბაო)
ლი ჩუნ სოო (ულსან ჰიუნდაი, ს. კორეა)
წავიდნენ
ხოხლოვი (ლოკომოტივი, რუსეთი)
პიკაბეა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტაიფუნი (ესპანიოლი)
დემეტრაძე (მ. დონეცკი, უკრაინა)

ესპანიოლი

მოვიდნენ
ლემენსი (რასინგი)
რაულ მოლინა (უელვა)
ტაიფუნი (სოსიედადი)
ვომე (ბოლონია, იტალია)
ბასტია (რასინგი, არგენტინა)
წავიდნენ
კატალონია (ალბასეტე)

სელტა

მოვიდნენ
ხანდრო (ალბასეტე)
წავიდნენ
მაკკარტი (პორტუ, პორტუგალია)
მიდო (მარსელი, საფრანგეთი)

დეპორტივო

მოვიდნენ
არავინ
წავიდნენ
არავინ

ვალიადოლიდი

მოვიდნენ
მაკუკულა (ნანტი, საფრანგეთი)
წავიდნენ
ანტონიო ლოპესი (სევილია)

ბარსელონა

მოვიდნენ
ლუის გარსია (ატლეტიკო)
კვარესმა (სპორტინგი, პორტუგალია)
რუშთუ (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
მარკესი (მონაკო, საფრანგეთი)
წავიდნენ
ფ. დე ბური (გალათასარაი, თურქეთი)
მენდიეტა (ლაციო, იტალია)
რონალდინიუ (სპორტინგი, პორტუგალია)

მალაგა

მოვიდნენ
ხოსე ლუკე (ელჩე)
წავიდნენ
ადორი (მალაგა B)
ალექსისი (მალაგა B)
ბრავო (რაიო ვალეკანო)
დარიო სილვა (სევილია)
დელი ვალდესი (ნასიონალი, ურუგვაი)
გეიხო (მალაგა B)
ხუან როდრიგესი (მალაგა B)
ხუანიტო (მალაგა B)
კოკე (მალაგა B)
მუსამპა (ატლეტიკო)
ნაჩო (მალაგა B)
პაკო ესტებანი (მალაგა B)
სანდრო (ლევანტე)

სარაგოსა

მოვიდნენ
ვილია (სპორტინგი)
წავიდნენ
აგუადო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
არაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბილბაო

მოვიდნენ
დ. კარანკა (მურსია)
ალვერდე (ბილბაო B)
წავიდნენ
აიტორ ოსიო (სევილია)
ალანა (ეიბარი)
ალკისა (სოსიედადი)
კარლოს გარსია (უცნობია)
ლარაინსარი (უცნობია)
ურუტია (კონტრაქტი დაუმთავრდა)

რეალი

მოვიდნენ
ბექემი (მანჩესტერი, ინგლისი)
გ. მილიტო (ინდეპენდიენტე, არგენტინა)
რაულ ბრავო (ლიდსი, ინგლისი)
წავიდნენ
იერო (გაუშვეს)
ივან კამპო (ბოლტონი, ინგლისი)

ოსასუნა

მოვიდნენ
უნაი ექსპოზიტო (ნუმანსია)
ხულიო სესარი (ვერონა, იტალია)
წავიდნენ
ბრიტი (ეიბარი)
უნსუე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

რასინგი

მოვიდნენ
ეპიტეე (ბურგოსი)
ხუვენალი (ლევანტე)
წავიდნენ
ლემენსი (ესპანიოლი)

ვილიარეალი

მოვიდნენ
კოლოჩინი (მილანი, იტალია)
ხოსე მარი (მილანი, იტალია)
ს. ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი)
წავიდნენ
არავინ

სევილია

მოვიდნენ
აიტორ ოსიო (ბილბაო)
ანტონიო ლოპესი (ვალიადოლიდი)
დარიო სილვა (მალაგა)
ორნოსი (ფენიქსი, ურუგვაი)
მარტი (ტენერიფე)
წავიდნენ
პრიეტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტოედტლი (უელვა)

ვალენსია

მოვიდნენ
მომო-სისოკო (ოსერი, საფრანგეთი)
წავიდნენ
რეველიერი (ლიონი, საფრანგეთი)

მურსია

მოვიდნენ
ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო)
ლუის გარსია (რეალი B)
რობერტო (სალამანკა)
წავიდნენ
ალბიოლი (ვალენსია B)
კუადრადო (ბარსელონა B)
დავიდ ვიდალი (კესადო)
ისმაელი (ალავესი)
რაინკე (ვერდერი, გერმანია)
ტიტო (ლევანტე)



სონი ანდერსონი პრიმერას დაუბრუნდა

ალბასეტე

მოვიდნენ
კაკია (სალამანკა)
კატალია (ესპანიოლი)
ლავალი (ლეგანესი)
მანოლო (ატლეტიკო B)
მოსო (ეიბარი)
წავიდნენ
ჩანო (ალმერია)
ხანდრო (სელტა)
პადილია (ტერასა)
რუბიო (სიუდად დე მურსია)

მალიორკა

მოვიდნენ
არავინ
წავიდნენ
არავინ

ატლეტიკო

მოვიდნენ
მუსამპა (მალაგა)
სიმეონე (ლაციო, იტალია)
წავიდნენ
ალბერტინი (მილანი, იტალია)
კოლოჩინი (მილანი, იტალია)
ხოსე მარი (მილანი, იტალია)
ლუის გარსია (ბარსელონა)



გიორგი დემეტრაძე ესპანეთის მაგივრად ახლაც უკრაინაში თამაშობს

პუიოლის საქმე თმასავით ჩახუჭუჭდა

რა ღირს? ამდენი! რა ამბავია?! უმაღლეს დონეზე

„მილანში“ ტიაგო მოტას გადასვლაზე რამდენიმე კვირის წინ ალაპარაკდნენ, მაგრამ გვარიანად რომ ჩამოცხა და ფეხბურთელები ზღვის სანაპიროებს მოედნენ, მოტა თითქოს მიავიწყდათ.

„შავ-წითლებმა“ სიჩუმე კვლავ დაარღვიეს და თქვეს, რომ ბარსელონელებზე ნადირობას აგრძელებენ. დიახ, ბარსელონელებზე, ორზე და არა ერთზე. კატალონიის დედაქალაქს თვით ადრიანო გალიანი და „მილანის“ სავაჭრო საქმეების შეფი არიედო ბრაიდა ეწვივნენ.

მათ პირველ რიგში კარლეს პუიოლი მოიკითხეს. მაშ მოტა? გალიანიმ და ბრაიდამ ბარსელონელებს ხუჭუჭა მცველის ფასი ჰკითხეს, რაზეც მასპინძელთა ოფიციალური პასუხიც მიიღეს: პუიოლი არ იყიდება. არ იყიდება, მაგრამ რადგან კატალონიაში ჩასასვლელად „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა მოიცალა, ეს იმას ნიშნავს, რომ იქიდან ხელცარიელი არ უნდა დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, რაღაც გარიგებას მაინც მიაღწევს.

ვის და რას სთავაზობენ იტალიელები მცველის სანაცვლოდ? თავისთავად ცხადია, ჯერ ფულს, ხურდაში კი დემეტრიო ალბერტინის და როკე ჟუნიორს. ალბერტინიმ შარშანდელი სეზონი მადრიდის „ატლეტიკოში“ ერთწლიანი ივჯარით გაატარა, როკე ჟუნიორმა კი „მილანის“ ქომაგებს თავი იმით დაამახსოვრა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეცვლაზე შესულმა თამაში კოჭლობით სიარულში გალია.

ბარსელონური აზრი ასეთია: კარლეს პუიოლი გუნდში ფრიად პატივცემული კაცია. გასახდელში, მოედანზე და მის გარეთაც სიტყვა ეთქმის და თანაგუნდელებიც აფასებენ. ანუ, ასეთი კაცის წაყვანა ან ფაქტობრივად შეუძლებელია, ან კიდევ „მილანს“ ძვირი დაუჯდება.

ტიაგო მოტა კი იტალიელებს სათადარიგო ვარიანტად შემოუნახავთ, კატალონიელებს ორიდან ერთი მაინც უნდა წავგვაროთო. ეს ამბავი მოტას აგენტმაც დაადასტურა, თუმცა მილანელთაგან შეთავაზებული თანხის რაოდენობა მიჩქმალა.

„ბარსელონას“ ფეხბურთელთა გარდა მილანელებს თვალი „ვალენსიასკენაც“ უჭირავთ. მათ რუბენ ბარახაც სათავისოდ შეუგულებიათ და არიედო ბრაიდა კატალონიიდან ვალენსიისკენ გაუტევს.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. II ტური						
		19 ივლისი						
22.30	013	აარაუ-გრასჰოპერი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
22.30	014	ქსამაქსი-სტ.გალენი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.30	015	ციურიხი-სერვეტი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		რუსეთი. XVII ტური						
		19 ივლისი						
16.00	018	ტორპედო-ცსკა	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
16.00	019	ურალანი-ალანია	1,5	2,9	4,4	1	1,11	1,74
16.00	020	ზენიტი-კრილია	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
16.00	021	შინიკი-მეტალურგი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	022	შინიკი-მეტალურგი 0:1	1,95	3,2	2,6			
16.00	023	რუბინი-სატურნი	2,45	2,9	2,9	1,32	1,32	1,45
16.00	024	როტორი-ჩერნომორეცი	1,85	3,0	4,4	1,14	1,3	1,78
		20 ივლისი						
16.00	025	სპარტაკი-როსტოვი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
16.00	026	დინამო-ლოკომოტივი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		შვედეთი. XIV ტური						
		21 ივლისი						
22.00	030	ჰელსინგბორგი-ჰამარბი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
22.00	031	მალმიო-ელფსბორგი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	032	მალმიო-ელფსბორგი 0:1	1,95	3,2	2,6			
		შვედეთი. XV ტური						
		20 ივლისი						
20.00	033	იოსტერი-ენკიოპინგი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		ნორვეგია. XIII ტური						
		19 ივლისი						
19.00	036	მოლდე-სოგნდალი	2,05	3,4	3,2	1,27	1,24	1,64
		20 ივლისი						
21.00	037	ბოდიო გლიმტი-ოდ გრენლანდი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
21.00	038	სტაბეკი-ვიკინგი	2,15	3,4	3,0	1,31	1,25	1,59
21.00	039	ბრინი-ალესუნდი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
21.00	040	ტრომსიო-რუსენბორგი	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
21.00	041	ლილესტრიომი-ლინი	2,15	3,4	3,0	1,31	1,25	1,59
		21 ივლისი						
22.00	042	ვოლერენგა-ბრანი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		ფინეთი. XIII ტური						
		19 ივლისი						
19.00	046	ჯაზი-ჰიკ	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
		20 ივლისი						
20.30	047	ჰკა-ჰაამეენლინა	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	048	ჰკა-ჰაამეენლინა 0:1	1,9	3,2	2,7			
20.30	049	კტპ-ინტერი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
20.30	050	ლაჰტი-მიუპა	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები						
		19 ივლისი						
18.00	066	ტობოლი-პაშინგი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.30	067	პერუჯა-ალიანსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
23.00	068	ეგალეო-კოპერი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
20.00	069	დაჩია-შალკე	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
00.30	070	რასინგი-ლიბერეცი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.15	071	სინოტი-ვოლფსბურგი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	073	ჰერენვენი-ლიერსი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	074	ნანტი-ვილი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2.75
23.00	075	ნიცა-ვერდერი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
00.45	076	ვილიარეალი-ბრეშა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.00	077	გენგამი-ბრნო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		20 ივლისი						
21.00	072	ტამპერე-ციბალია	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		ამხანაგური მატჩები.						
		18 ივლისი						
23.45	082	ლაციო-ჩელსი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
		19 ივლისი						
23.00	083	ბორდო-ბრიუგე	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.00	084	ოსერი-პანათინაიკოსი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		20 ივლისი						
22.30	085	ჰანოვერი-რომა	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
		ევ 19 წლამდე (ლიხტენშტაინში).						
		18 ივლისი						
18.30	096	პორტუგალია-იტალია	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
21.30	097	ჩეხეთი-ავსტრია	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
21.30	098	საფრანგეთი-ინგლისი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.30	099	ლიხტენშტაინი-ნორვეგია	15,0	7,0	1,08	4,77	1	1
		წყალბურთი. მჩ (ესპანეთში)						
		18 ივლისი						
12.30	125	კანადა-უნგრეთი	14,0	12,5	1,01			
	126	კანადა-უნგრეთი 9:0	1,85	4,0	1,85			
13.45	127	ხორვატია-რუმინეთი	1,07	9,0	10,0			
	128	ხორვატია-რუმინეთი 0:4	1,8	3,6	1,9			
15.00	129	ავსტრალია-აშშ	1,55	7,5	2,9			
16.15	130	სერბია-იაპონია	1,01	12,5	14,0			
	131	სერბია-იაპონია 0:10	1,85	4,0	1,85			
20.15	132	საბერძნეთი-იტალია	3,0	8,0	1,5			
21.30	133	რუსეთი-ბრაზილია	1,03	11,0	12,5			
	134	რუსეთი-ბრაზილია 0:5	1,85	3,8	1,85			
22.45	135	ესპანეთი-სლოვაკეთი	1,15	8,0	6,0			

ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 19 ივლისი. (12.00)

4001 გამარჯვებული		სამეული		ექვსეული		4002 უსწრ. წრე
მ.შუმახერი	2,6	4101	1,25	4201	1,12	2,5
ბარიკელო	10,0	4102	2,7	4202	1,3	7,0
რაიკონენი	6,0	4103	1,9	4203	1,25	4,6
მონტოია	3,5	4104	1,45	4204	1,25	4,0
კულტჰარდი	14,0	4105	3,6	4205	1,45	12,0
რ.შუმახერი	3,3	4106	1,35	4206	1,15	3,6
ალონსო	25,0	4107	4,6	4207	1,5	20,0
ტრული	40,0	4108	7,5	4208	2,0	40,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,8	75,0
ვილნევი	100,0	4110	20,0	4210	4,0	100,0
ფიზიკელა	100,0	4111	20,0	4211	4,0	100,0
პანისი	100,0	4112	20,0	4212	4,0	100,0
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	2,6	75,0
ფრენცენი	100,0	4114	25,0	4214	4,0	100,0
ჰაიდფელდი	100,0	4115	25,0	4215	4,0	100,0
და მატა	100,0	4116	25,0	4216	4,0	100,0

4301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	2,05
მაკლარენი	4,0
უილიამსი	1,65
რენო	15,0
ზაუბერი	50,0
ბარ	40,0
ტოიოტა	50,0
ჯორდანი	50,0
იაგუარი	40,0
მინარდი	200,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს

სარგებელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში ყველაზე ხალხმრავალი იყო, რაც ეროვნული გუნდი 21-თვიანი შესვენების შემდეგ სამიოდ კვირის წინ, 23 ივნისს შეიკრიბა. ვახტანგ მინაშვილი და სამი გიორგი — მდივანი, მამაცაშვილი და ცინცაძე — აი, ნაკრების ახალი სახელები. „ამერიკელები" კი — სტეფანია-ცქიტიშვილი-ფაჩულია — ჯერაც არ ჩანან და შესაძლოა, სწორედ ისინი გახდნენ კიდეც კიევის ოთხთა ტურნირზე წაუსვლელობის მიზეზი, რომელში მონაწილეობაც ერთი თვის წინ გადაწყდა

რა შორსაა კიევი...

ნაპრები ხნავს, დინამო იმპის



გურამ დოლიძეშვილის ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩი და ბესიკ ლიბარტელიანი: ნაკრებს და ფედერაციას საფიქრალი გაუჩნდათ

ფედერაციაში როგორც გვითხრეს, საბოლოოდ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი: ვახტანგ ნაცვლიშვილის ჯანმრთელობის ამბავი და შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემებია ასაწონ-დასაწონი, რის შემდეგაც, სამშაბათს, გაირკვევა, წავალთ თუ არა კიევშიო.

თუ სოლიდური შემადგენლობა არ შეიკრიბა, მართლაც არასასურველია იმ ტურნირზე გამგზავრება, რომელშიც რუსეთი თამაშობს. რაგბიში და ფეხბურთში მარცხით დაბოლმილი რუსები აიღებენ და განახევრებული შემადგენლობით ჩასულ ქართველებს ერთი მაგრად შეგვარცხვენენ. მერე მიდი და იმართლე თავი, სტეფანია და ცქიტიშვილი არ გვყავდაო.

მაგრამ აქ სხვა მომენტიცაა. თუ კიეველებს სიტყვა მისცეს, და როგორც ფედერაციაში ამას წინათ გვითხრეს, უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ხრამაევთან ყველაფერი შეთანხმებულია, წაუსვლელობა როგორღა იქნება?!

ერთი წუთით... ფედერაციამ აკი თქვა, სამშაბათს გადავწყვეტთ კიევის ამბავსო და ჩვენ კი ისე გამოგვდის, თითქოს წაუსვლელობა ბეჭედდასმული იყოს. ჩვენ ამას არ ვამბობთ, უბრალოდ, ნაკრების გუშინდელ ვარჯიშზე სრული უიმედობა სუფევდა — კიევში ველარ მივდივართო. ეს მოთამაშეთა საერთო დასკვნა იყო და ზოგიერთმა ისიც თქვა, ეს ნაკრების შეკრება კი არა, „დინამოს" კემპი უფროაო. ბრაიკოვიჩი კარგად შეისწავლის ჩვენს ავან-ჩავანს და რომელიც მოვეწონებით, თავის კლუბში აგვიყვანსო. ეს სიტყვები, ცხადია, ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ იმ კაცის გულისთქმას ჰგავდა, რომ უთხრეს, კიევის ტურნირისთვის ემზადებითო და საბოლოოდ აღარ წაიყვანეს. დავრჩით უკიევოდო — გულგატეხილები იყვნენ.

ამიტომაც ვეჭვობთ, უკრაინულ ტურნირზე გამგზავრებას საბოლოოდ დაედგას თავი. ღმერთმა ქნას, ყველაფერი სასიკეთოდ აეწყოს და კიევის ბილეთებიც დაიჯავშნოს, მაგრამ თუ იმ აზრს მივუბრუნდებით, რომ „უამერიკელებოდ" ტურნირზე გამოსვლა ხელს არ გვაძლევს, ველარ წავსულვართ და აი, რატომ:

ნიკა ცქიტიშვილს, რომელიც შარშანდელი დრაფტის მე-5 რჩეულია, საამისო კი არაფერი გაუკეთებია, „დენვერიდან" არავინ გამოუშვებს. ვინც შარშან ქართველი ასე მაღალ ნომრად აიყვანა, ახლა მაგრად სცხელა. უნდა, არ უნდა, სუპერმონაცემების მქონე ცქიტიშვილისგან საშუალო დონის მოთამაშე მაინც უნდა გამოძერწოს და ასეთი კაცი ამერიკაში გახუმრებული კემპების დროს გამოუშვებს ნიკას უკრაინაში?

გურამ დოლიძეშვილის ფოტო

ნაკრების შეკრება „დინამოს" კემპი უფროა

ფაჩულიას ჩამოსვლის საქმეც არანაკლებ რთულადაა. ზაზა კონტრაქტის მოლოდინშია და რომც გაუფორმონ, მეორე დღესვე ნაკრებში ხომ ვერ წამოვა, ან ვინ გამოუშვებს, ზაზამ რომც მოინდომოს?!

სტეფანია კი ხუთი წელი გახდება, საქართველოში არ ყოფილა და ახლა ამხანაგური მატჩებისას რატომ უნდა ველოდოთ მის ჩამოსვლას. თანაც ვოვამ გვითხრა, თუ ხელსაყრელ კონტრაქტს არ გავაფორმებ, ჩემი იმედი ნუ გექნებათო. ხელსაყრელი კონტრაქტი კი სტეფანიას ჯერჯერობით არსაიდან უჩანს.

ასე რომ, ლოგიკით თუ ულოგიკოდ, ნაკრები კიევში ველარ წასულა, მაგრამ ბოლომდე ოპტიმისტები დავრჩეთ და სამშაბათს დაველოდოთ.

ახლა კი იმას მივუბრუნდეთ, რითიც დავიწყეთ — ნაკრების ვარჯიშს. ბრაიკოვიჩი ისეთი მკაცრი და სერიოზული იყო, თითქოს არც კი იცოდა, რომ ნაკრების კიევში გამგზავრებას წყალი შეუდგა. ხორვატი ჩვეული ჟინითა და დისციპლინით უძღვებოდა ვარჯიშს, უფრო კი თამაშს, რადგან გუშინდელმა დილის ვარჯიშმა ძირითადად ურთიერთსპარინგობაში ჩაიარა.

თხუთმეტი მოვარჯიშე, რომლებიდანაც ორი — ქუთაისელი ვანო მაისურაძე და ბასკელი ნიკა ჩხატარაშვილი ფორმის შესანარჩუნებლად, თხოვნით იმყოფებოდნენ ნაკრების კანდიდატთა შორის, ბრაიკოვიჩმა ორ გუნდად გაჰყო და ჯერ ცალფარა, შემდეგ კი მთელ მოედანზე ათამაშა.

ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით ფიზიკურ ვარჯიშებს, რომელსაც „დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელი იური სტადუხინი უძღვებოდა.

წავა თუ არა ნაკრები კიევში, ჯერ არ ვიცით, იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ „დინამო" ძალიან ძლიერი იქნება მომავალ სეზონში — რა თქმა უნდა, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე.

ირაკლი პერტაია



გაფრი ჯეიფლაძის ფოტო

ზაზა ფაჩულია ისევ „ულქერისაა" ?!

ულქერი: ფაჩულია 2005 წლამდე ჩვენია

ზაზა ფაჩულია დღე-დღეზე ელის ორლანდოელთა სიტყვას და ოფიციალურად „გაჯადოქრდება", მაგრამ... ფაჩულიას თქმით, ის თურქული „ულქერისგან" ოქტომბერში თავისუფლდება, გუშინ კი სტამბოლელთა ოფისში რომ დავრეკეთ, გვითხრეს, ზაზა 2005 წლის ივნისამდე ჩვენი საკუთრებაა. ასეც რომ იყოს, ფაჩულიას „ორლანდოში" გადასვლაში ხელს ვერავინ შეუშლის. ეგაა, რაც უფრო მეტი დროა დარჩენილი ზაზას ულქერული კონტრაქტის დასრულებამდე, თურქები მით მეტ თანხას მოითხოვენ საკომპენსაციოდ. ეგებ მოითხოვეს კიდეც, ორლანდოელები სტამბოლელებს ხომ დღეში ორჯერ უკავშირდებიან, ისევე როგორც სტამბოლელები ფაჩულიას. აგერ, მოუსმინეთ „ულქერის" პრესატაშე ბირქან ჩეთინბორას, ფაჩულიას ბედიღბალზე რომ გვესაუბრება...

— გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ, ფაჩულიაზე გვსურს თქვენთან საუბარი...

— კი, ბატონო, რა გაინტერესებთ?

— როდის უმთავრდება ფაჩულიას „ულქერთან" კონტრაქტი?

— ზაზა 2005 წლის სეზონის ბოლომდე ჩვენი საკუთრებაა.

— თავად ფაჩულიას თქმით, მას თქვენს კლუბთან სამი თვის შემდეგ, ოქტომბერში უმთავრდება კონტრაქტი...

— ზაზა რას ამბობს, არ ვიცი, აგერ, წინ მიდევს მისი კონტრაქტი და აქ პუნქტობრივადაა ყველაფერი ჩამოწერილი. ესაა ჩვენს შორის გაფორმებული ერთადერთი სამართლებრივი ხელშეკრულება და მასში წერია, რომ ფაჩულია კიდევ ორი წლით ეკუთვნის „ულქერს".

— ფაჩულიას ორლანდოელები გუნდში აყვანას უპირებენ და ეგ კონტრაქტი ხელს ხომ არ შეუშლის?

— რატომ უნდა შეუშალოს, რამდენი კონტრაქტიანი კალათბურთელი მიდის ევროპიდან ნბა-ში, მაგრამ პრობლემები არავის ექმნება.

— როგორ არ ექმნებათ, ნბა-ში წამსვლელი კალათბურთელების ევროპელი კლუბები ცდილობენ, რაც შეიძლება, დიდი საკომპენსაციო თანხა აიღონ...

— ფაჩულიას კონტრაქტში პირდაპირ წერია ის თანხა, ნბა-ს კლუბმა რომ უნდა გადაგვიხადოს, თუ მის წაყვანას ისურვებს. ეს თანხა უკვე იციან ორლანდოელებმა, ისინი ჩვენ დღეში ორჯერ გვირეკავენ. სამწუხაროდ, თქვენ ვერ გეტყვით ამ თანხის ოდენობას.

— კლუბთან რა გაქვთ ფულზე სალაპარაკო, ნბა-ს გუნდებს უცხოელ კალათბურთელში 350 ათასზე მეტის გადახდა არ შეუძლიათ...

— ფაჩულია ჩვენი საკუთრებაა და ორლანდოელებთანაც ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. მათ ყველაფერი აინტერესებთ, თითოეული დეტალი. ვიცი, რომ 350 ათასზე მეტს „ორლანდო" ვერ გადაგვიხდის, ამაზე მეტი თავად ფაჩულიას გადასახდელია, რომელსაც ყოველ დღე ვუკავშირდებით.

ჩვენ ფაჩულიაზე დიდი ამაგი გვაქვს, ის ბავშვი იყო, აქ რომ ჩამოვიყვანეთ. ზაზამ ყველაფერი აქ ისწავლა, ჩვენ ის გვიყვარს და ვიცით, ნბა-ში თამაშზე რომ ოცნებობს, მაგრამ იმასაც ვერ დავუშვებთ, ისე გავუშვათ ამერიკაში, სარგებელი არ ენახოთ.

— ორლანდოელები რას ამბობენ, უფორმებენ ფაჩულიას საბოლოოდ კონტრაქტს?

— ვერ გეტყვით, რას აპირებენ. ძალიან დაინტერესებულები არიან და ესე იგი უნდათ კიდეც.

— ვთქვათ, ორლანდოელებმა წლეულს არ დაიტოვეს... ფაჩულიამ რომ სხვა კლუბში ინდომოს თამაში, გაუშვებთ?

— არსადაც არ გავუშვებთ, ან სად უნდა წავიდეს „ულქერზე" უკეთეს გუნდში? თუ ზაზა ევროპაში წამოვა, რაც არა მგონია, რომ მოხდეს, აუცილებლად „ულქერში" ითამაშებს.

ვაჟა ხუციშვილი
ირაკლი პერტაია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალმა სიომ დაბერა. „კალათბურთელებს ინტერესები შეეცვალათ — წერს ერთი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი — როდესაც თავისუფალი აგენტი გუნდთან მოლაპარაკებაზე მიდის, ის გენმენეჯერს აღარ მიმართავს სიტყვებით — „მაჩვენე ფული!“ ახლა სხვა „მოდაა“ და ყველა პრესკონფერენციაზე გაისმის ფრაზა „ფული არაფერ შუაშია...“ ამ სიტყვების მთქმელებს უკვე მრავალი მილიონი უდევთ ანგარიშზე და მატერიალურად დაკმაყოფილებულები ახლა სხვა სიმდიდრისკენ იწვდიან ხელებს — მათ ჩემპიონობა უნდათ

ვილას უნდა შენი მილიონები
იქ სხვა ოქრო აციაგდა

ამერიკულ გაზეთ USA TODAY-ში გამოქვეყნებული სტატიის ამ მოკლე ციტატიდან ნუ გამოვიტანთ მცდარ დასკვნას, თითქოს ნბა-ს მოთამაშეებისთვის ფული არაფერს ნიშნავს. იმ ქვეყანაში ფულის შოვნა რელიგიის რანგშია აყვანილი და კალათბურთელების, ისევე როგორც ყველა სხვა კასტის წარმომადგენლების მთავარი მიზანიც ყოვლის მოხვეჭაა.

მაგრამ მათ, ვინც უკვე მოიხვეჭა მოსაჯვეჭი, რატომ არ იფიქრონ სხვა ფასეულობებზე? მაგალითად, კარლ მელოუნმა თავის დროზე იმიტომ დაიწყო კალათბურთის თამაში, რომ ამ საქმით ფულის შოვნის ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა. მელოუნს თითქმის არ ახსოვს მამა. გალოთებული მშობელი მაშინ ნავიდა სახლიდან, როცა კარლი ხუთი წლისა იყო. მას 8 დედმამიშვილთან ერთად გაჭირვებით ზრდიდა დედა და მომავალმა კალათბურთელმა ბავშვობაში მთელი არსებით შეიგრძნო ფულის (უფულობის) დამთრგუნველი ძალა. როცა კარლ მელოუნი ნბა-ში კონტრაქტს აფორმებდა ან ანახლებდა, თავისი გუნდის მეპატრონეს მუდამ მაქსიმუმს სწურავდა. 18 სეზონის თავზე იშოვა 100 მილიონზე მეტი და დაიკმაყოფილა ყველაზე თამამი მატერიალური მოთხოვნილება.

რა უნდა ქნას ადამიანმა, ვისაც ვეფხვების მოშენებაც კი მოსწყინდა? 40 წელს მიტანებულ მელოუნს მოაგონდა, რომ ამდენ ხანს მხოლოდ ფულისთვის თამაშობს, ყოველ შემთხვევაში, ძირითადად ფულისთვის და გადაწყვიტა, ამ გზიდან გადაეხვია. ის გადავიდა „ლეიკერსში“ ისე, რომ არ უთქვამს იქაურთათვის — „მაჩვენეთ ფული“. ის ამბობს, რომ ფული არაფერ შუაშია, მას ჩემპიონობა და კარიერის ლამაზად დამთავრება უნდა.

მის გზას დაადგა მეორე მდიდარი ვეტერანი გერი პეიტონიც. ორივენი ძველ გუნდებში ბოლო სეზონში ჯამში 31,9 მილიონს იხვეჭდნენ, „ლეიკერსში“ პირველ სეზონში კი ერთად 7 მილიონიც არ გამოუვათ. სამაგიეროდ, ამ გუნდში ჩემპიონობის მოპოვების მეტი შანსი აქვთ.

პეიტონი და მელოუნი მარტონი არ არიან. წლევანდელ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე სხვებიც გამოჩნდნენ ისეთები, ვისთვისაც დოლარის მწვანე ფერი გახუნდა და საჩემპიონო ოქრო უფრო თვალისმომჭრელად აციაგდა. მაგალითად, ასეთები არიან ალონზო მურნინგი და ჯუონ ჰოვარდი, რომლებიც დათანხმდნენ მცირე ხელფასს, საჩმპიონო შანსების გაუმჯობესების სანაცვლოდ.

თავისუფალ აგენტთა წლევანდელ ბაზარზე, თავისთავად ცხადია, ისეთებიც მრავლად არიან, ვისაც თავისი წილი მილიონები ჯერაც არ უშოვია და იქ ყველანაირი ვაჭრობა მიდის. თავად ბაზარი კი ოფიციალურად 16 ივლისს გაიხსნა და ბევრმა ვარსკვლავმა გამოიცვალა კლუბი.

გთავაზობთ ბაზრის ყველაზე ხმაურიან ამბებს.

ალონზო მურნინგი სხვა მაღაზეა



ალონზო მურნინგს „მაიამი ჰითთან“ ამ ზაფხულს დაუმთავრდა კონტრაქტი და მან ბოლომდე აიღო ის 105 მილიონი დოლარი, რომელიც ამ გუნდთან შვიდი წლის წინ ხელმოწერილი კონტრაქტის თანხის გრაფაში ჩაიწერა. მერე კი დაჭკრა ფეხი და ისე მიატოვა „მაიამი“, სულ არ უგრძვნია სინდისის ქენჯვნა — ის ხომ ბოლო სამი სეზონიდან ორში მუქთად იღებდა სახელფასო მილიონებს მაშინ, როცა თირკმლის დაავადების გამო გუნდს ვერაფრით ეხმარებოდა. ბოლო სეზონში, რომელიც საერთოდ გამოტოვა, მურნინგმა „მაიამის“ სახელფასო ფონდიდან 20,6 მილიონი ჩაიჯიბა, რაც კლუბის ჯამური ხელფასების ორი მეხუთედია.

მურნინგი ახლა ჯანზე ჩანს, თან მადაზეც მოსულა, „ნიუ ჯერსიაში“ წავიდა, რათა იქაურებთან ერთად დააგემოვნოს ჩემპიონობა. თუ ძველებურად ითამაშებს და ყოველ თამაშში საშუალოდ 20 ქულასა და 10 მოხსნას გააკეთებს, „ნეთსის“ შანსები მართლაც გაიზრდება. ისე, მურნინგის ახალ გუნდში მისგან არც 17-ოდე ქულასა და 8 მოხსნაზე იწუწუნებენ.

მურნინგმა წინა სეზონში მიიღო 20,6 მილიონი, მომავალ სეზონში კი 4 მილიონს აიღებს.

ტიმ დანკანს ვერავინ გაეკარა

„სან ანტონიო სფურზის“ სუპერმეფარე ტიმ დანკანი წლეულს თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ მასთან არცერთ გუნდს არ უწარმოებია სერიოზული მოლაპარაკებები. ყველამ იცოდა, რომ დანკანი „სფურზში“ რჩებოდა, გუშინწინ კი ეს ოფიციალურად გაცხადდა. დანკანი, რომელიც „სან ანტონიოში“ ექვს სეზონში ორჯერ ჩემპიონი გახდა და ორჯერაც სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ძველ გუნდში კიდევ შვიდი წლით და 122 მილიონად დარჩა.

ფული ჰოვარდსაც მოყირჭდა

დენვერელი თავისუფალი აგენტი ჯუონ ჰოვარდი რამდენიმე დღის წინ სიტყვიერად შეუთანხმდა „ორლანდო მეჯიქს“, გუშინწინ კი კონტრაქტზეც მოუწერა ხელი. მურნინგისა არ იყოს, მანაც მოამთავრა 7 წლის წინ დადებული 105-მილიონიანი კონტრაქტი (ეს ფული „ვაშინგტონში“, „დალასსა“ და „დენვერში“ თამაშისას ნაწილ-ნაწილ აიღო) და გამდიდრებულს რაკი „დენვერი“ ეპატარავებოდა, უფრო ძლიერი გუნდი მონახა.

„მე გამარჯვებები მწყურია“ — ამბობს 206-სანტიმეტრიანი და 117-კილოგრამიანი ფორვარდი. ის 9 წელია, ნბა-შია და მხოლოდ ორჯერ უთამაშია პლეი ოფში, „ორლანდოში“ კი მეტადაა შესაძლებელი ფრთების გაშლა, ვიდრე „დენვერში“.

ჰოვარდმა წინა სეზონში 20,2 მილიონი ჩაიჯიბა, ახლა კი ამის მეხუთედზეც ყაბულსაა.





ჯერმენ ონილმა ძველები გაწურა

ასევე ძველ გუნდში, „ინდიანა პეისერზში“ დარჩა ჯერმენ ონილიც. ოღონდ, დანკანისგან განსხვავებით, ონილმა მაგრად დააფეთა ინდიანელები — სხვა გუნდებთან გააჩალა მოლაპარაკებები და მისი წასვლით დაშინებულ ინდიანელებს მაქსიმუმი დასტყუა, რისი მოცემაც მათ შეეძლოთ.

გუშინწინ ონილმა „პეისერზს“ შვიდწლიან და 120-მილიონიან ხელშეკრულებაზე სიამოვნებით მოუწერა ხელი.

კლიპერსი ისევ ჩაიძირა

ბოლო რამდენიმე წელიწადში „კლიპერსმა“ იმდენი ნიჭიერი ბიჭი მიიზიდა, ხალხმა იფიქრა, ერთ-ორ სეზონში ესენი ჩემპიონები გახდებიანო. მაგრამ აი, გუნდს ერთ სეზონი ჩაუვარდა და ახალგაზრდა ვარსკვლავებმა ამ კლუბიდან ისე მოუსვეს, როგორც ვირთხებმა ჩასაძირად განწირული გემიდან.

16 ივლისს ორმა საუკეთესო კლიპერსელმა ელტონ ბრენდმა და ანდრე მილერმა, მზარდი პოტენციის გუნდებთან, შესაბამისად „მაიამისთან“ და „დენვერთან“ მოაწერეს ხელი.

„დენვერმა“ მილერი 55-მილიონად ექვსი წლით დაიყოლია, ხოლო ბრენდი 82,2 მილიონად დაყაბულდა „მაიამიში“ ექვსი წლით გადასვლას.

ამ დღეებში „კლიპერსთან“ კიდევ ერთი „ვირთხა“ კორი მეჯიტი გაიქცა. ამ ნიჭიერმა მსროლელ-ფრთამ „იუტა ჯაზს“ შეაფარა თავი.



ელტონ ბრენდი

ეკლსტოუნმა სილვერსტოუნს შარის წყალი შეუყენა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ზეგ ლონდონიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი აეროდრომის ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის მორიგი დიდი პრიზი გათამაშდება. „სილვერსტოუნის“ ლეგენდარული ავტოდრომი, რომელზეც 53 წლის წინ ზეისტორიული, პირველი საფორმულო რბოლა გაიმართა, მაგრად მობერდა და სადღეისო მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. თავად ტრეკს არაფერი დაეწუნება, ინფრასტრუქტურა კი აშკარად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ ფუნქციას.

კრიტიკული შენიშვნები ბოლო წლებში მომრავლდა, რაკი ავტოდრომისკენ მიმავალ გადაჭედილ გზებზე რამდენიმე საათიანი „საცობების“ გამო ათასობით ბილეთიანი გულშემატკივარი რბოლის ნახვას ვერ ახერხებდა. შარშან ვითარება ნაწილობრივ გამოსწორდა ერთი-ორი ახალი ავტომაგისტრალის გაყვანით და მანქანების დასაყენებელი ვრცელი ტერიტორიის მოწყობით, მაგრამ პრობლემები მაინც საკმაოდაა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი უკმაყოფილოა ბრიტანელ ავტომრბოლთა სამეფო კლუბის საქმიანობით, რომლის საკუთრებაცაა ავტოდრომი. ბოსი კლუბის ხელმძღვანელობას შარშან „სილვერსტოუნის“ რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი 40 მილიონი გირვანქა სტერლინგის არამიზნობრივ დახარჯვაში ანუ გაფლანგვაში სდებს ბრალს: „მათ რაღაც გზები გაიყვანეს, 14 მილიონი მანქანების სადგომის მოსაწყობად დახარჯეს, ხუთი მილიონი კი არქიტექტორებს გადაუხადეს. მეტი არაფერი გაკეთებულა. პიტლაინი, პრესცენტრი, სტუმართა დასახვედრი ზონა ხელუხლებელ, სამარცხვინო მდგომარეობაშია.“

ეკლსტოუნმა მკაცრად გააფრთხილა კლუბელი შეფები, რომ ყოველი ღონე იხმარონ ავტოდრომის სათანადო მოდერნიზებისათვის. წინაადმდეგ შემთხვევაში, ბრიტანული ეტაპის საფორმულო კალენდრიდან ამოშლით იმუქრება. ეკლსტოუნ-სილვერსტოუნის კონფლიქტი 2000 წლის შემდეგ გამწვავდა, როცა თავსხმის მიზეზით რბოლა ლამის ჩაშალა, ტრასის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის გამო.

ავტოკლუბის პრეზიდენტი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჯეკი სტიუარტი ბრალდებას უარყოფს: „სილვერსტოუნში პირობები ბევრად უკეთესია, ვიდრე სან პაულუს, ბუდაპეშტის ან იმოლას ავტოდრომებზე, ბოქსებიც ვთქვათ, ჰოკენჰაიმისას გაცილებით სჯობს. ამ ტრასების მიმართ კი ეკლსტოუნს ერთხელაც არ დასცდენია აუგი, რადგან ფინანსური დაინტერესება აქვს. ხოლო ჩვენ მთელი სარეკლამო შემოსავალი წაგვართვა და ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხითა ვსულდგმულობთ. ვითარების გამოსასწორებლად მხოლოდ მთავრობის დახმარების იმედი გვაქვს. ბრიტანეთში ავტოსპორტის განვითარებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო 16 მილიონიდან ნაწილს ალბათ ჩვენც მივიღებთ.“



ავტოფედერაცია „სილვერსტოუნს“ მოკვეთით ემუქრება

გია ახალაძე

გამოფენილია გამოფენა

განთქმულმა ტელეარხმა „იესპიენმა“ ყოველწლიურ ჯილდოთა ჩამორიგება მოაწყო.

აქ რომ ფოტოებს ხედავთ, სწორედ იქ, ჰოლივუდის „კოდაკ თეატრშია“ გადაღებული.

არ გავიკვირდეთ — ერთ-ერთ მათგანზე ხუთგზის მეოლსტარე კობი ბრაიანტი თავის მკერდჩაგლეჯილ ცოლ ვანესასთან ერთად ღადაობს, არადა, კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც რომ მავან უსახელო მდედრს უკანონოდ მიეძალადა და ვანესას მიერ სახლიდან გაძევებულ იქნა.

ძაან მიხარია, აქ ერთად რომ ვხედავო, თქვა „ლეიკერსში“ ამ ორი დღის წინ ბრაიანტის თანაგუნდელად ჩაწერილმა გერი პეიტონმა... ჰმ!

აქვე ხედავთ ქალთა ჩოგბურთის ატეხილ ავაზას, კაბამოდღლეზილ სერენა უილიამსს, ვინაც თავის კორტისშემვსები ბაყვ-ძუძუებით მოანგრევს კოდაკ თეატრის სანახებს.

გვერდზე კი სევდიანად მიმჯდარა ერაყელ მოისართა ნაკრების წევრი. მესოპოტამიელი დიაცი ნიუ იორკში გახურებული მსოფლიოს ჩემპიონატის სასურველი მონაწილეა.

ასეთია ცხოვრება — ზოგი მიანგრევს, ზოგიც კი სევდიანად ზის.





ტურ დე ფრანსი 2003

გაფრინდი ნელა

ჯატალონია აფარფატდა

მარსელში ერთდღიანი შესვენების შემდეგ ველოქარავანმა დასავლეთით გზა გაგრძელა და ნარბონიდან ტულუზამდე 153,5-კილომეტრიანი 11-ე ეტაპი დაფარა. გზა ძირითადად ვაკეში მიდიოდა და უმნიშვნელოდ მერყეობდა სიმაღლეში, ამიტომაც „პეპლებს“ — ასე უწოდებენ ვაკე-გზების ერთდღიან მრბოლებს — აფარფატების შანსი კვლავ მიეცათ. ტურის ლიდერები, გამოცდილი მთიელები კი პელოტონის ტახტრევანში მორჭმით მოკალათდნენ და პირინეის მთებამდე კიდევ ერთ ეტაპზე გამოიზოგეს ენერგია.



ხუან ანტონიო ფლეჩა

REUTERS ტულუზიდან

შეტევა არ უცდიათ არც ლიდერ არმსტრონგს, არც მის უახლოვეს მდევარ ვინოკუროვს და არც ფიცხ ბასკ იბან მაიოს. არმსტრონგმა 29-ემ გადაკვეთა ფინიში და იგივე დრო ჩაეწერა, რაც მთლიანად პელოტონჯგროს. მის შორიახლოს იყვნენ სხვა ლიდერებიც, ამიტომაც საერთო ჩათვლის ზედა ნაწილში წამითაც არ შეცვლილა ლიდერ ხუთეულს შორის ფარდობა.

სამაგიეროდ, 11-ე ეტაპზე „პეპლებმა“ გაიგიჟეს თავი. ფინიშამდე — რომელიც ლანგედოკის პროვინციის მთავარქალაქის ტულუზის ქუჩებში გაეელოთ — რამდენიმე ათეული კილომეტრით ადრე პელოტონს რვა მრბოლი გამოექცა და წინ გაიჭრა. შემტევები რიგრიგობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ჯგუფის წვერში და ძირითადად ვრთადაც გაიარეს დისტანცია, მხოლოდ ბოლო კილომეტრებში დაიქაქანეს, როცა ფინიში მოახლოვდა და ლიდერობისთვის სპრინტი გაჩაღდა. საბოლოოდ გამარჯვება შეხვდა ესპანელ ხუან ანტონიო ფლეჩას, რომელმაც ოთხი წამით მიასწრო მომყოლ ჰოლანდიელ ბრამ დე გროოტს.

ესპანელსო კი ვთქვით, მაგრამ სინამდვილეში ფლეჩა კატალონიელია, თანაც პირველი კატალონიელი, ვინაც 1963 წლის შემდეგ ტურ დე ფრანსის ეტაპი მოიგო. 38 წლის წინ ეს ხოსე პერეს ფრანტესმა შეძლო.

„ახლა კატალონიაში ბევრი ნიჭიერი მრბოლი იზრდება — ამბობს გამარჯვებული — თაობა მოდის, ასე რომ, დარწმუნებული ვარ, კატალონიას აღარ მოუწევს 38 წელი ლოდინი მომდევნო გამარჯვებამდე.“

კოტე ყორღია

XI ეტაპი. 17 ივლისი

ნარბონი — ტულუზი 153,5 კმ

1 ხუან ანტონიო ფლეჩა (ესპანეთი, iBanesto.com) 3 სთ 29 წთ 33 წმ
2 ბრამ დე გროოტი (ჰოლანდია, რაბობანკი) + 4 წმ
3 ისიდორო ნოზალი (ესპანეთი, ონსე) იგივე დრო
4 იგნასიო კუესტა (ესპანეთი, კოფიდისი) + 15 წმ
5 კარლოს დე კრუზი (საფრანგეთი, FDJeux.com) + 23 წმ

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) 49 სთ 16 წთ 37 წმ
2 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 21 წმ
3 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 1 წთ 2 წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, iBanesto.com) + 1 წთ 37 წმ
5 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, Team CSC) + 1 წთ 52 წმ

ტიანანმენის ქვეშიდან

წლეულს უკვე მეორე წლისთავია იმ ამბისა, რაც რომ პეკინმა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო. ჰოდა, ამ თარიღის აღსანიშნავად ჩინელებმა რაღა არ მოიგონეს... ფოტოზე ტიანანმენის ალაყაფსქვეშ მორბენალ ყმაწვილებს ხედავთ, რატომღაც ასევე ქვეშიდან გადაღებულთ.

REUTERS ბარსელონიდან



REUTERS პეკინიდან

ინგე

ბარსელონაში რომ მსოფლიოს მეათე საწყალოსნო ჩემპიონატი გრძელდება, იქედან მალიმალ ვიღებთ სპორტსმენთა ნაირგვარ სურათებს. ეს მხარბეჭი და მთელი ამბავი კი ჰოლანდიელი მოცურავის ინგე დე ბრუნისაა.

თანაწვრთნა და შეჯიბრი

ეს ტაეკვონდოს რაიმე ჩემპიონატი, ან დიდი ტურნირი არ არი. სეულიდან ოცდახუთიოდ კილომეტრში, ჯარისკაცთა შეჯიბრია: სამხრეთ კორეის ჯინკუნის კორპუსის 37 რჩეული სალდათი ეპაექრება ამერიკის მეორე ინფანტერიის დივიზიის 37-სავე რჩეულ ჯარისკაცს. აუცილებლად ჩხუბი კი არ არის, არამედ ერთმანეთისადმი ილეთების ჩვენებაც და გამოცდილების გაზიარებაც.

REUTERS ჩიკაგოდან

REUTERS იუჯონბუდან

ხორხე პოსადები

ჩიკაგოში 74-ე საბეისბოლო „კლესიკი“ გაიმართა. ამერიკის ლიგისვარსკვლავთა გუნდი ეროვნული ლიგის ვარსკვლავთა გუნდს შეხვდა და 7-6 მოუგო. ეს პატარა ბიჭი კი გახლავთ „ნიუ იორკ იანკიზისა“ და ამერიკის ლიგის ქეჩერის, ხორხე პოსადას (მარჯვნივ) ვაჟი. ასევე ხორხე პოსადა, რომელსაც მთელი „ოლ სტარზი“ ესალმება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრიაპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge